

„Moqalaqeta saartschweno uplebebis dairtadi garantiebi. Konperenziis masalebi“  
(Hauptgarantien der Wahlrechte von Bürgern. Konferenzmaterialien)  
Internationales Zentrum für Bürgerkultur, Sprache - georgisch (mit Resümee auf  
Englisch), Auflage - 400

სამშენებლო კულტურის საერთაშორისო ცენტრი  
INTERNATIONAL CENTER FOR CIVIC CULTURE


მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ძირითადი  
გარანტიები

კონფერენციის მასალები  
(თბილისი, 1997 წლის 4-5 ოქტომბერი)

Basic Guarantees for Electoral Rights of Citizens

Conference Materials  
(Tbilisi, 4-5 October, 1997)

A 98 - 04835



Tbilisi

თბილისი 1997

კონფერენციის ჩატარება და ამ ბროშურის გამოცემა შესაძლებელი გახდა ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ფინანსური დახმარებით.

ბროშურაში შეტანილი მასალები მომზადებულია კონფერენციის მიმდინარეობის დროს ჩაწერილი აუდიოფირების მიხედვით. კონფერენციაზე გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნით კონკრეტულ პიროვნებებს და არ გამოხატავენ ფრიდრიხ ებერტის ფონდის ან სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის აზრს.

მასალები მოამზადეს ლელა ხომერიკმა და კონსტანტინე კანდელაკმა.

Conference was hold and the present brochure published due to financial support of Friedrich Ebert Foundation Residence Office in Georgia.

Materials, incorporated in this brochure, were prepared on the basis of audiocassettes recorded in the course of the conference. Opinions, stated at the conference, belong to particular individuals and not necessarily express the attitude of Friedrich Ebert Foundation or International Center for Civil Culture.

Brochure was prepared by Lela Khomeriki and Kote Kandelaky

© ფრიდრიხ ებერტის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში 1997

© Friedrich Ebert Foundation Residence Office in Georgia, 1997

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი  
თბილისი, ბაქოს ქუჩა 20ა

ტელეფონი: 95-38-73, ელ. ფოსტა: ICCG\_Georgia@yahoo.com

International Center for Civic Culture  
Georgia, Tbilisi, 20<sup>a</sup> Bakso st

Phone: 96-38-73, e-mail: ICCG\_Georgia@yahoo.com

გამომცემლობა „ლიოგენე“

ს/ყ 68, 380079 თბილისი

ტელ: 220314 e-mail: gpa@access.sanet.ge

დაიბეჭდა შპს „ჯაილს“ სტამბაში

დღის წესრიგი:

## I დღე

თემა I **დარღვევების საწინააღმდეგო მექანიზმები საარჩევნო კანონმდებლობაში**

მომხსენებლები:

კონსტანტინე კანდელაკი, *სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი*

გიორგი ზესაშვილი, *ცენტრალური საარჩევნო კომისია*

დავით არჩვაძე, *იუსტიციის სამინისტრო*

მამუკა სამაკაშვილი, *საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი*

თემა II **უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების გარანტიების რეალიზაციის მხრივ**

მომხსენებელი:

რობერტ ლა მონგი, *ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია*

## II დღე

თემა III **საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით სხვადასხვა (პარტიულ და არაპარტიულ) ორგანიზაციებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები**

მომხსენებლები:

პაატა გურგენიძე, *მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი*

დავით ყიფიანი, *ევროპისათვის კავკასიური კლუბი*

დავით ლოსაბერიძე, *მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი*

დავით ლოსაბერიძე, *მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი*

თემა IV **რეკომენდაციები საარჩევნო კანონმდებლობაში მიზანშეწონილი ცვლილებების შესახებ**

მომხსენებლები :

ეხატანგ ხვალაძე, *კონსტიტუციის დაცვის ლიგა*

კოტე კანდელაკი, *სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი*

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის, ეუთოს მისიის, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის, რესპუბლიკური, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული რესპუბლიკური და კონსერვატიული პარტიების, მოქალაქეთა კავშირის, მერაბ კოსტავას საზოგადოების, ტრადიციონალისტთა კავშირის, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლებმა.

კონფერენცია გახსნა საერთაშორისო კულტურის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ, პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსმა გიგი თევზაძემ. მან აღნიშნა, რომ არჩევნების ღიად, სამართლიანად და თავისუფლად ჩატარება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ ნაწილს. ნებისმიერი ღონის არჩევნების სამართლიანად ჩატარების და მისი ეფექტიანად აღიარებისათვის აუცილებელია საარჩევნო პროცესის კონტროლის ეფექტური სისტემის არსებობა, რომლის მიზანი არის გაყალბების, ფალსიფიკაციების, სხვადასხვა სახის დარღვევების თავიდან აცილება, მოქალაქეთა აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების დაცვა. საარჩევნო პროცესის კონტროლის სისტემის ეფექტურობა კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ მისი განხორციელების მექანიზმები, როგორაა ასახული საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამის დებულებებში.

სამწუხაროდ, საქართველოში ჩატარებული არჩევნების ანალიზმა გამოავლინა საარჩევნო კანონმდებლობის მთელი რიგი ნაკლოვანი მხარეები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს თვით კანონითვე დეკლარირებული დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების დარღვევას.

საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე მსჯელობა და ამ საკითხის საზოგადოების განხილვის საგნად ქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოახლოებული არჩევნების წინ.

დღევანდელი კონფერენცია სწორედ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების გარანტიების უზრუნველყოფის ხელშეწყობისა და საარჩევნო კანონმდებლობის ეფექტურობის გამრდის მიზნით ტარდება.

## თემა I დარღვევების საწინააღმდეგო მექანიზმები საარჩევნო კანონმდებლობაში

კონსტანტინე კანელაკი  
სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

### საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების ანალიზი 1995 წელს ჩატარებული არჩევნების გამოცდილობებზე დაყრდნობით

არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარება დამოკიდებულია ადამიანის შემდეგი სამი ძირითადი უფლების განხორციელებაზე: 1. ყველა ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობდეს თავის ქვეყნის მართვაში უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით. 2. ყველა ადამიანს თავის ქვეყანაში აქვს თანაბარი უფლება შევიდეს სახელმწიფო სამსახურში. 3. ხელისუფლების საფუძველი უნდა იყოს ხალხის ნება. ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდული და არაფალსიციფირებული არჩევნებით, რომელიც უნდა გარდებოდეს საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლების პირობებში ფარული კენჭისყრით ან მისი გოლფხის პროცედურით, რომელიც უზრუნველყოფს ხმის თავისუფლად მიცემას.

ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები იყავენ ადამიანის იმ ძირითად უფლებებს, რომელთა განხორციელებასაც არჩევნების საშარტლიანად და თავისუფლად ჩატარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ესენია: სიკეთის, ინფორმაციის, შეკრებების, ასოციაციების, გადაადგილების თავისუფლება, დაწინებისა და დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისაგან თავის დაცვა, დამოუკიდებელი სასამართლო პროცედურის არსებობა და სხვა.

მაგრამ, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების უზრუნველსაყოფად ამ საერთაშორისო ნორმებისაღმდეგ ერთგულები ადამიანებისა და დეკლარირებასთან ერთად, აუცილებელია არსებობა რიგი ტექნიკური და სამართლებრივი პირობებისა, რომლებიც ამ ნორმების პრაქტიკულ განხორციელებას შეუწყობს ხელს და საარჩევნო პროცესს ეფექტურად დაიცავს გაყვლებისაგან.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა მოგადად შეესაბამება იმ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს, რომლებიც საერთოლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ. მაგრამ ჩატარებულმა არჩევნებმა ამ კანონების ნაყოფიანი მხარეებიც დაგვანახა, რომლებმაც ხელი შეუშალეს მათი დეკლარირებული საერთაშორისო ნორმებით აღიარებული საარჩევნო პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას. ამიგომ მნიშვნელოვანია, არჩევნების პროცესში არსებულ დარღვევებთა ანალიზი და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა. გამოვლენილი დარღვევები ერთის მხრე გამოწვეული იყო კანონმდებლობის ხარვეზებით, მეორეს მხრე კი კანონის მოთხოვნების შესრულებლობით.

განხილვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია არჩევნების დანიშნვის, ამომრჩეველთა რეგისტრაციის, საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის, საარჩევნო კამპანიის და აკტივაციის, კენჭისყრის წესისა და არჩევნების შედეგების დადგენის, საარჩევნო კომისიების უფლებამოსილების, სტატუსის, არჩევნების პროცესის საჯაროობის, არჩევნების ფინანსირების საკითხები.

1995 წლის საარჩევნო პროცესის მრავალი ხარვეზი ბევრად განსაზღვრა უკიდურეს ცაიტნოში მიღებულმა საარჩევნო კანონმდებლობამ და არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ვადების უკიდურესმა სიმჭიდროვემ. ორთიანი პერიოდში აშკარად არ აღმოჩნდა საკმარისი საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო კამპანიის სრულყოფილად წარმართვისათვის, ხოლო ამომრჩეველთათვის საარჩევნო კანონმდებლობისა და მისი ნიუანსების, არჩევნებში მონაწილე არუბექტებისა და მათი პოტიგარების გასაჩინობად, რამაც არჩევნების სრულყოფილად ჩატარებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამიგომ მომავალი არჩევნებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი პერიოდის გაზრდა, მითუმეტეს, რომ თვითმმართველობის არჩევნები შეიძლება ითქვას, რომ პირველად გარდება და თანავ, ახალი საარჩევნო კანონით. ჩვენი აზრით, არჩევნების თარიღის დანიშვნა უნდა მოხდეს მინიმუმ სამი თვით ადრე მაინც. საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა უნდა აიკრძალოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეული იყო დროის უკმარისობით, არის ამომრჩეველთა სიების შედგენის დაშვებული უზუსტობანი. დროის სიმცირის გამო საარჩევნო კომისიებმა ვერ მოასწრეს ახალი სიების შედგენა და წინა არჩევნების დროინდელი სიები გამოიყენეს ისე, რომ ფაქტიურად არ მომდარა მათი გადამოწმება, რამაც დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით შედეგების შეკამების პერიოდში, სიებით მანიპულაციის შესაძლებლობა მისცა. ამ მხრე საარჩევნო კანონმდებ-

ლობაშიც არის ხარვეზები. მაგალითად, კანონის 34-ე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაყვანილობის საარჩევნო უბანში გამოიყვრება არჩევნებამდე 10 დღით ადრე. ეს ვადა ძალზედ მცირეა იმისათვის, რომ დანტკერეებსებულმა პირებმა მოახდინონ სიების გადამოწმება და მასში შესწორებების შეტანა. სასურველი იქნება ეს ვადაც გაიმარდოს და ამომრჩეველთა სიების გასაცნობად გამოკანა მოხდეს არჩევნებამდე ერთი თვით ადრე მაინც. 34-ე მუხლის 3 პუნქტში მითითებულია, რომ სიაში დაშვებული უმუსტობის შესახებ განხილვის განხილვის სახეობა საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს - დაუყოვნებლივ განხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში არჩევნებამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა, სასამართლო კი მოვალეა სიაში დღის ვადაში განხილვის საჩივარი. ჩვენის აზრით, თუ კომისიამ 3 დღით ადრე განმცხადებელს უკანონოდ უთხრა უარი უმუსტობის გასწორებამე, ეს უკანასკნელი ვერ მოასწრებს სასამართლოში გასაჩივრებას, რითაც მას ფაქტიურად ერთმევა სასამართლოში გასაჩივრების უფლება, რაც ამომრჩევლისთვის კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევის ტოლფასია. ამ ხარვეზის გამო კომისიას შეუძლია სრული დაუჯერლობის პირობებში იმოქმედოს, რასაც ქვირდა კიდევ ადგილი, როდესაც გამოუცხადებულ ამომრჩეველებს სიიდან იღებენ იმ მოტივით, რომ ისინი საყოველთაოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ არიან წასული. (ამ ფაქტების შესახებ იხ. „სამართლიანი არჩევნების“ ანგარიში). ამრიგად, ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი აუცილებლად მოითხოვს დახვეწას, და ამის კეთება დღეიდან უნდა დაიწყოს, რათა ადგილობრივი არჩევნების წინ იგივე სურათი არ მივიღოთ, თანაც ადგილობრივი არჩევნებისას ამომრჩეველთა სიების შედგენისას უამრავი ნიუანსია გასათვალისწინებელი. მაგ. სად უნდა მისყენ ხმა ჯარისკაცებმა, სტუდენტებმა, ლტოლვილებმა, საელჩოებმა, მებლავურებმა, რაიონებიდან თბილისში სამშაობად ჩამოსულმა პირებმა. ამ შემთხვევაში ადვილი მოსალოდნელია ერთი და იგივე ამომრჩეველი ერთდროულად ორ სიაში მოხდეს. სიების შედგენაში საარჩევნო კომისიებს დახმარება შესაძლებელია გაეწიონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, პოლიტიკურმა პარტიებმა.

არჩევნებში მონაწილე პარტიების და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციას და საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენას წინა არჩევნებში არ გამოუწვევია განსაკუთრებული ვნებათაღელვა. არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ყველა პარტია თუ პრემი-

დენტობის კანდიდატი უპრობლემოდ გატარდა რეგისტრაციაში. მიუხედავად ამისა, კანონში მრავალი ხარვეზია, რომელმაც შემდგომში შეიძლება მტკივნეულად იჩინოს თავი.

საარჩევნო კანონის მიხედვით 13 მუხლის 1 პუნქტში ჩამოთვლილი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცსკ-ს შეუძლია უარი უთხრას პარტიას ან კანდიდატს რეგისტრაციაზე. პარტიას უფლება აქვს უარის თქმის მიღებიდან სამი დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში, სასამართლო კი გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს სამი დღის ვადაში. ასეთივე მდგომარეობაა პარტიული სიების წარდგენისას. ჩვენ მივაჩივრებ, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომისიას ეჭვი შეეპარება მხარდამჭერთა სიების ან სხვა დოკუმენტის სისწორეში, მან მაინც უნდა გაატაროს პარტია რეგისტრაციაში და თვითონვე აღძრას სარჩელი უზენაეს სასამართლოში. მხოლოდ სასამართლოს პერიოგატივა უნდა იყოს რეგისტრაციის გაუქმება, რადგან იმ შემთხვევაში როცა ცსკ ხსნის რეგისტრაციიდან და სასამართლო აღადგენს, პარტია ან კანდიდატი კარგავს ერთ კვირას მაინც, გვიან იწყებს წინასაარჩევნო კამპანიას და სტარტზემე ვერდება რიგშიდან.

არ უნდა არსებობდეს პარტიული სიების რაოდენობრივი შეზღუდვა, გაუგებარია სიაში კანდიდატთა რიყხვი რაგომ არ უნდა იყოს 100 ნაკლები და არა მაგალითად 110-ზე ან 90-ზე. ეს შეზღუდვები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პარტიებისათვის რეგისტრაციის გაუქმებისათვის.

საარჩევნო კამპანიის მიზანია გააცნოს მოქალაქეებს პარტიები, კანდიდატები და მათი პროგრამები, რომ შემდეგ ყველამ პარტიამდურად სრული ინფორმაციის საფუძველზე გადაწყვიტოს ვის მისცეს ხმა. ამ დებულების განხორციელების ხელს უშლის საარჩევნო კამპანიისათვის გამოყოფილი მცირე დრო, ენერგეტიკული კრიზისი და პრესის ხელმოწევილობა.

კანონით პარტიას კამპანიის დაწყება შეუძლია რეგისტრაციის მოქმედებიდან, მაგრამ რაკილა, პარტიები სხვადასხვა დროს გარდებიან რეგისტრაციაში, ფაქტიურად სხვადასხვა დროიდან იწყებენ კამპანიას. ჩვენი აზრით, წინასაარჩევნო კამპანია ყველაასათვის ერთ დღეს უნდა დაიწყოს.

მოსაგვარებელია პარტიებისა და კანდიდატების დაფინანსების საკითხიც. აუცილებელია კანონმა, უფრო მაკონად დაავალდებულოს სახელმწიფო, რომ თანხები გამოეყოს პარტიებსა და კანდიდატებს. საარჩევნო კანონის 47-ე მუხლი - წინასაარჩევნო აგიტაცია - მრავალ კითხვას ბადებს, რომლებიც უფრო აქტუალური გახდნენ მიღებული გამოთვლების ფონზე. 47-ე მუხლის მე-2 პუნქტით, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს, გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა, აგიტაცია გასწიონ პარტიის, საარჩევნო ბლოკის პარლამენ-

გის წევრობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ. სამწუხაროდ ეს გარანტია არაფრით არ არის გამაგრებული. ამ მხრივ უმარავე დარღვევის მოწმენი გავხვდით, რომელთაც არავითარი რეაგირება არ მოჰყვა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, საარჩევნო კომისიები ვალდებული არიან ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ხელი შეუწყონ წინასაარჩევნო შეხვედრების გამართვას. პრაქტიკულად ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ეს დეკლარაცია არ შეუსრულებიათ.

კანონში კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული ატიტაციის ფორმები. გამოყალიბებამ აჩვენა, რომ სხვადასხვა რაიონში ატიტაცია სხვადასხვანაირად რეგულირდებოდა. განსაკუთრებით დიდ ენებთა დეპარტამენტს იწვევდა წინასაარჩევნო შეკრებების ჩატარებისათვის დაბაბების გამოყოფისა და პალაკატების გაკვერის საკითხის სასურველია, თუ კანონი უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებს ატიტაციის განხორციელებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მათი რეგულირების წესებს.

გამოყალიბებამ აჩვენა, რომ ინკუმბენტი კანდიდატები საარჩევნო კამპანიისათვის ხშირად საჩუკებლობდნენ სახელმწიფო სახსრებითა და ქონებით. შედეგობაში გვაქვს, სახელმწიფო მინქანების, ტელეფონების, შენობების, დაბაბების და ა.შ. გამოყენება. ამიგომ კანონში პირდაპირ უნდა მიეთითოს, რომ დაუშვებელია, სახელმწიფო სახსრებისა და ქონების საარჩევნო კამპანიისათვის გამოყენება, გარდა სახელმწიფოს მიერ პარტიისა თუ კანდიდატისათვის საარჩევნო კანონით გათვალისწინებული თანხისა.

წინა არჩევნებში სახელმწიფო გელევიზიის ოფიციალური ინფორმაციის ქვეშ ხშირად მიმდინარეობდა ხელისუფლებაში მყოფ კანდიდატთა წინასაარჩევნო ატიტაცია, ამის შემაკავებელი საკანონმდებლო მექანიზმები კი არ არსებობდა, არაგბანც კანონში საერთოდ არ იყო განმარტებული ფარული ატიტაციის ცნება. სასურველია, ეს ხარვეზიც გამოწორდეს.

იმ გარემოებიდან, რომლებმაც ხელი შეუწყეს უშუალოდ არჩევნების დღეს არსებულ დარღვევებს, პირველ რიგში აღნიშვნის ღირსია საარჩევნო უბნების მოუწყობლობა, სიფრთვე და კაბინების სიმკირე, რამაც კარგი ნიდაგა შექმნა გაყალბების შესურველთათვის. კანონში არ არის მითითებული თუ რამდენ ამომრჩეველზე რამდენი კაბინა და რეგისტრატორი უნდა იყოს, რათა რიგები არ შეიქმნას.

ბევრგან უბნები ერთ სივრცეში არ იყო განლაგებული, რაც დაკვირვების პროცესს ძალზედ ათულებდა. სასურველია, რომ უბნები, საოლქო კომისიები არ იყვნენ განლაგებული ადგილობრივი მმართველობის შენობებში.

კანონში არ არის განმარტებული ის პირობები, თუ როდის შეუძლია თავმჯდომარეს პოლიციელის მოწვევა, რამაც წინა არჩევნებში ბევრი გაუგებრობა გამოიწვია. დასახვეწია ბიულეტენების აღრიცხვის, ამომრჩეველების მიერ ხმის მიცემის, დამკვირვებლების აღნიშვნისა და საარჩევნო ლოკუბენტაციის შენახვის წესებიც.

სარჩევნო კანონის მე-11 მუხლით კანონის დამრღვევისათვის დაწესებულია როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობა. ხშირად შეუძლებელია იმის აღგენა, თუ რა სახის სასჯელია გათვალისწინებული ამა თუ იმ კონკრეტულ დარღვევისათვის. მაგ. ზემოთი ბიულეტენის გაყვებისათვის, კომისიის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე პოლიციელის უბანში ყოფნისათვის, პრეზიდენტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში კანონით აკრძალული საკადრო გადაადგილებისათვის და ა.შ.

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ არსებული კანონითაც შესაძლებელია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარება, თუკი თამაშის წესებს ყველა მხარე დაიცავს. მაგრამ სამწუხაროდ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საქართველო ჯერჯერობით ამისთვის მზად არ არის, ამიგომ აუცილებელია კანონში ჩაიდოს ისეთი მექანიზმები, რაც საარჩევნო პროცესის გაყალბებას ხელს შეუშლის.

## ბიორი მხარეში

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე*

წინა გამოშვებულმა ისაუბრა საარჩევნო კანონის ხარვეზების შესახებ. ჩემის აზრით, არსებული კანონი არც ისე ცუდია. დარღვევების უმეტესი ნაწილი, გამოწვეულია იმით, რომ არჩევნებში მონაწილეები კარგად არ იცნობენ კანონს. არსებულ კანონში ცვლილება-დამატებები შეტანამე უფრო მნიშვნელოვანი, მისი სრულად ამოქმედების პრობლემაა.

ამჟამად პარლამენტის საპროცედურო საქმეთა კომიტეტი მუშაობს კანონპროექტზე „საარჩევნო კანონში ცვლილება-დამატებების შესახებ“. სასურველი იქნება, როცა პარლამენტი და იუსტიციის სამინისტრო მუშაობენ ისეთ კანონპროექტებზე, რომელიც არჩევნებს შეეხება, უფრო მეტი კოორდინაცია ჰქონდეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან. კანონი იწერება ჩვენი აზრის გათვალისწინების გარეშე, მერე კი ამ კანონით ცსკ-მ უნდა იმუშაოს. ბუნებრივია, ცსკ-ს დიდი გამოცდილება აქვს საარჩევნო სფეროში

და, არა მგონია, მისი მოსაზრებები კანონზე მუშაობის დროს საინტერესო არ იყოს.  
რაც შეეხება საარჩევნო პროცესის ეტაპებს, ვეთანხმები ამრს, რომ საჭიროა მათი გაზრდა.

კანონი აბსოლუტურად დემოკრატიულია საარჩევნო პროცესზე საზოგადოებრივი თუ პარტიული მეთვალყურეობის თვალსაზრისით. წინა არჩევნებზე, თბილისში თითოეულ საარჩევნო უბანზე ოცდაათამდე დამკვირვებელი იყო.

აქ აღინიშნა, რომ პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატა სიაში არ უნდა იყოს დაწესებული ქვედა ზღვარი. ამას ვერ დავეთანხმები, თუ პარტიას ასი კანდიდატის წარდგენა არ შეუძლია, მაშინ საერთო რა აზრი აქვს არჩევნებში მის მონაწილეობას.

მინდა პარტიების დაფინანსების საკითხსაც შევხებო. არჩევნების შემდეგ პარტიების მხრიდან ბუერო პრევენციები გამოითქვა ამასთან დაკავშირებით. გარკვეულწილად ეს კაცს ადანაშაულებდნენ. მართალია, გამოყოფილი თანხების განაწილებას ესე აწარმოებს, მაგრამ როცა არაფერი არ გამოყოფილა, ეს კაცს რა გაენაწილებინა? საყურადღებოა, რომ არცერთ დეპუტატს ეს თანხა კატეგორიულად არ მოუთხოვია.

ბოლოს ისევ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ არსებული საარჩევნო კანონიკი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო ეფექტურად, თუ არჩევნებში მონაწილე სუბიექტები უკეთ შესაძლებენ თაყვანით უფლებების დაცვას.

#### **ლავროს არჩევნები**

*იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის სამმართველოს უფროსი კონსულტანტი*

მართალია, მე ვარ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი. მაგრამ ამ გამოსვლაში ჩემს პირად შეხედულებებს მოგახსენებთ.

არსებული საარჩევნო კანონის მიხედვით არჩევნები ინიშნება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 60 დღისა. მე ვეთანხმები ამრს, რომ საჭიროა წინასწარჩევნო პერიოდის გაზრდა. ამას ყველა წინა არჩევნების გამოცდილება ადასტურებს, განსაკუთრებით 1995 წლის არჩევნები, როცა ორი თვით ადრე მოხდა ახალი კანონის მიღება.

თვითმმართველობის არჩევნების კანონპროექტში ჩადებულია, რომ პრემიერდენტმა არჩევნები უნდა დანიშნოს 4 თვით ადრე გამოცხადების იქნება ეს პირველი არჩევნები, რადგან თუ წელს მიიღებს პარლამენტი თვითმმართველობის არჩევნების კანონს, არჩევნები ჩატარდება გაზაფხულზე და შეიძლება ვაღები შემჭიდროვდეს.

ახლა კონკრეტულად, რამდენიმე საკითხზე შევეჩვდები. პარლამენტის არჩევნების შესახებ კანონში (მუხლი 6), საუბარია იმ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ უფლება მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. ჩემი პირადი აზრია, რომ ეს მუხლი შეიძლება გაფართოვდეს. არსებული კანონით არჩევნებში არ დებულბენ მონაწილეობას სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ ცნობილი და სასამართლოს განაჩენით სასჯელადსრულებით დაწესებულებებში მყოფი პირები. ამას შეიძლება დაემატოს აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილებით სამკურნალო დაწესებულებებში იძულების წესით მოთავსებული პირები. ასეთი გამოცდილება არსებობს. მაგალითად, უნრეთის საარჩევნო კანონში, მითითებია, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იძულებით მოთავსებულია სამკურნალო, ნარკოლოგიურ დაწესებულებაში.

საარჩევნო კანონის მუხლებში გვხვდება ფორმულირება „სასამართლოს განაჩენით“, ალბათ უპირობისი იქნებოდა „სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით“. რადგან სასამართლოს ესა თუ ეს განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს, და სანამ განაჩენი საბოლოოდ არ შევა ძალაში, მანამდე მოქალაქეს უნდა ჰქონდეს კონსტიტუციური უფლება მონაწილეობის არჩევნებში.

განსაკუთრებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ კანონის იმ მუხლში, სადაც დაპირაკია საარჩევნო კომისიების ფორმირებაზე, კარგი იქნება თუ პირდაპირ ჩაიდებოდა მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიები. მაგალითად, შეიძლებოდა ჩაწერილიყო: „საარჩევნო კომისიები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ დამოუკიდებლად. დაუშვებელია, საარჩევნო კომისიის საქმიანობაში სახელმწიფო ხელისუფლების უშაღღესი და ადგილობრივი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიტიკური პარტიებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოქალაქეების ჩარევა“.

ყოველ შემთხვევაში კარგი იქნებოდა თუ საარჩევნო კომისიების, კერძოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს სტატუსი შეეცვლებოდათ. ეს საარჩევნო კანონის პრეროგატივაში არ შედის, ეს ალბათ რანგითების კანონის საქმეა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მოადგილე სტატუსით მინისტირის თუ არა მინისტრის მოადგილის დონეზე უნდა იყოს. რადგან ეს არის ის ორგანო, რომელიც აგარებს არჩევნებს, არჩევნების გამოკრებილობაზე კი ბევრი რამ არის დამოკიდებული. მით უმეტეს, სხვა ქვეყნებში არის ამის გამოცდილება და კარგი იქნება თუ მას გადმოვიღებდით.

რაც შეეხება პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობისა და პარლამენტის წევრობის კანდიდატურა დასახელების უფლებას, საჭიროა პარტიები ჩაეყენონ თანაბარ მდგომარეობაში. როგორც ცნობილია, თუ პარტია წარმოდგენილია პარლამენტში, არჩევნებში მონაწილეობისათვის მას არ სჭირდება მხარდამჭერთა სიები, თუ არა და პარტიამ უნდა წარადგინოს 50.000 ხელმოწერა. რათა არ იყოს ასეთი არათანაბარი მდგომარეობა ყველა პარტიამ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, უნდა წარადგინოს ეს 50.000 ხელმოწერა.

აღსანიშნავია კიდევ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა საარჩევნო კომისიების შექმნის წესი. კარგი იქნებოდა, თუ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ყველა პარტიას, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას თვითონ დაეინიშნა თავის წარმომადგენელს კომისიაში. მაგრამ თუ გაითვალისწინებთ ჩვენს რეალობას, საქართველოში არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ასზე მეტ პარტია, ან ორგანიზაცია შეიძლება იყოს, რაც გაართულებს საარჩევნო კომისიის მუშაობას. მაგრამ თუ ჩვენ წავაღოთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დანიშნვის მექანიზმზე, კერძოდ აქ ლაპარაკია პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის ვარიანტზე, როცა ექვს წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, ექვსს – პარლამენტი, სამსამს – უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლო, ეს მე მგონი ვერ იქნება დემოკრატიული. მაგრამ ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ სასამართლოების მონაწილეობა საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ყოვლად მიუღებელია. რაც შეეხება ადგილობრივი საარჩევნო კომისიებს, მათ საქმიანობასა და ფორმირებაში, ალბათ შესაძლებელია უფრო აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში.

მამუკა სამაპაშვილი  
*პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და  
წესების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი*

მე წარმოვადგენ პარლამენტის იმ კომიტეტს, რომელიც უშუალოდ მუშაობს საარჩევნო კანონის ცვლილება-დამატებების საკითხებზე და გახლავართ ამ კანონპროექტის ერთ-ერთი თანაავტორი. რადგან 1995 წლის არჩევნების კანონის მიღება ფორსირებული წესებით მოხდა, ბევრი ისეთი დებულება გაიპარა, რომელიც საჭიროებდა უფრო ღრმად დაფიქრებასა და გააზრებას, ამიტომ დღე-

ვანდელი კანონი შედაპირულია. ამით მე არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო იმ კანონპროექტის ავტორებს, მაგრამ საპროცედურო კომიტეტში ცენტრალური და სხვა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების, ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების შეჯამების წესის, არჩევნების კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას ძალიან ბევრი პრობლემა წარმოიშვა.

კონფერენციაზე ვმჯავლობთ, როგორ დავიცვათ არჩევნები გაყალბებისაგან, კანონში შეიძლება უამრავი რამ ჩაიწეროს, შეიძლება საერთოდაც ისეთი რამ ჩაიწეროს, რაც დემოკრატიული საზემწიფოსთვის მიუღებელია, მაგრამ აღსანიშნავია ერთი რამ, რომ საქართველოში არსებობენ პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც არჩევნების გაყალბება ხელოვნების რანგში აქვთ აყვანილი, ეს უნდა ვაღიაროთ.

რაც შეეხება ჩვენს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს, ჩვენ არ ვამტიკებთ, რომ ეს კანონპროექტი არის იდეალური ვარიანტი, რომელიც საქართველოში უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და თავისუფალი არჩევნების ჩატარებას. კანონპროექტი არის ნელი მასალა, რომლიდანაც შეიძლება შემუშავდეს კარგი კანონი, რომელიც საკმარისი იქნება ნორმალური არჩევნების ჩასატარებლად.

საარჩევნო კანონმა უნდა უზრუნველყოს იმ ორგანოების არჩევა, რომელიც კონსტიტუციის ძირითად მოთხოვნებს განახორციელებს. თუ გვექნება კარგი კონსტიტუცია და ცუდი საარჩევნო კანონი, ეს ნიშნავს, რომ გვაქვს ცუდი კონსტიტუცია.

მე არ შეუვლდება კანონპროექტის განხილვას, მაგრამ მოგახსენებთ კომიტეტისა და მისი თავმჯდომარის პოზიციას მთავრით საკითხთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი არჩევნების დღის დანიშვნაა. კონსტიტუციის დებულებაა, რომ არჩევნები უნდა დაინიშნოს არაუგვიანეს 60 დღისა, რასაც ვერ შევცვლით. მაგრამ შეიძლება პოლიტიკური შეთანხმების შედეგად დაწესდეს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ინაუგურაციის დღეს, ვთქვათ, ყოველთვის 26 მაისს გამოაცხადოს საპარლამენტო არჩევნების დღე, რაც შეიძლება გრადიციად იქნეს.

კომიტეტის შემუშავებულ ვარიანტში ცსკ შედგება 19 წევრისაგან, რომელთაგან ექვსი პარლამენტის, ექვსი პრეზიდენტის, ხლო სამსამი უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერაა დანიშნული. თავმჯდომარეს კი პრეზიდენტის წარდგენით პარლამენტი ირჩევს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცსკ და საოლქო საარჩევნო კომისიები სახელმწიფო ორგანოები უნდა იყოს და, თავისთავად, მათში სამსახური საჯარო სამსახური იქნება. ამჟამად მუშავდება კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, საჯარო მოსამსახურეს ცოცა მეტი მოთხოვნა ვიდრე ცსკ-ს წევრს ახლა.



როცა საოლქო საარჩევნო კომისია გახდება მუდმივმოქმედი ორგანო, რადგან არჩევნები თითქმის ყოველწლიურად იქნება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორ, პარლამენტისა ოთხ, პრეზიდენტისა კი ხუთ წელიწადში ერთხელ, შეიძლება საოლქო საარჩევნო კომისიებს დავავალოთ სიების შედგენა. გუქნიკის განვითარება გვაძლევს ამის საშუალებას. საოლქო კომისიების უფრო გაუადვილებათ სიების მუდმივი გადახალისება.

არჩევნების დღეს დარღვევები შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ეტაპზე, მაგრამ ყველაფერი კანონში ვერ აისახება. ადამიანს უბრალოდ სამართლებრივი შეგნება და კანონის პატივისცემა უნდა ჰქონდეს.

მიგველი ვართ, რომ ახალ საარჩევნო კანონს არჩევნების წინ ვიდენტ ხოლმე. ჩვენი აზრით, საარჩევნო კანონი პარლამენტის არჩევნებამდე, მინიმუმ ორი წლით ადრე მიანიჭ უნდა იქნეს მიღებული, რომ ხალხმა შეისწავლოს, და კომისიის წევრი არჩევნების წინ არ ეცნობოდეს თავის უფლებამოსილებას.

## დისკუსია

**ვახტანგ ბოჭორიშვილი** (კონსტანტინე ვამბახურდიას სამოგალოება): საარჩევნო კანონს მართლაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როგორი კარგი კანონიც არ უნდა იყოს, თუ მისი შესრულების მექანიზმი არ არსებობს, ვერცერთი კანონი ვერ იმუშავებს. შეტყავე გვეყვით, ჯობია გქონდეს შედარებით არასრულყოფილი კანონი და ის სრულად სრულდებოდეს, ვიდრე გვექონდეს მშვენიერი კანონი და არ სრულდებოდეს.

ვეთანხმები აზრს, რომ არიან პარტიები, რომლებიც დარღვევებზე საეკილიზდებიან. წინა არჩევნებზე იყო შემთხვევები, როცა ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების ჩირვეით, ერთი პარტიის ხმები მეორეს მიაწერეს.

წამყვანი პარტია დაუფარავ მეწოლას ახდენდა მთელს სამოგალოებაზე.

პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაიოდნენ სახლებში და ამინდებენ მოსახლეობას. მოქალაქეებმა კი ისიც არ იციან, რომ ბიულეტენს რომ ჩააგდებს, ვერაიან ვერ მიხვდება თუ ვის მისცა ხმა. ჩემმა მეგობარმა, განაილაებულმა კაცმა კი მითხრა, ვაითო დამინიშნონო ბიულეტენი.

როგორი კანონიც არ უნდა მივიღოთ, თუ ის არ შესრულდება, ვერაფერს ვერ მივაღწევთ. უპირველესად ყოვლისა უნდა ვიხმაროთ ყველა დონე, რომ არ მოხდეს ამომრჩეველზე მეწოლა წინასაარჩევნო პერიოდში და შემდეგ კი, არ მოხდეს გაყალბება.

უნდა ვისახუროთ არა მხოლოდ არჩევის მექანიზმზე, არამედ ასარჩევი ორგანოს დემოკრატიზაციამდე. თვითმმართველობის კანონპროექტით მერს, მის მოადგილეს და გამგებულს ნიშნავს პრეზიდენტი, შეიძლება ეს სხვაგან კარგი იყოს, მაგრამ საქართველოს პირობებში არჩევნები კარგავს ყოველგვარ აზრს.

**დავით კუპრეიშვილი** (მერაბ კოსტავას სამოგალოება): როდესაც არჩევნების დროს კანონის დაქვემდებარებას ვსახურობთ, პირველ რიგში ჩვენ უნდა გავარკვეოთ ერთი რამ, არის თუ არა სახელმწიფოში პოლიტიკური ნება, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. აქ აღინიშნა, რომ ბერმა კანონი არ იყოს, რაც ბევრ რამეში ხელს უშლის არჩევნების დროს. ასევე აღინიშნა, რომ კანონში არის ხარვეზები, რომლის შეესებაცა საჭირო და ა.შ. მაგრამ ჩემის აზრით, პირველ რიგში სახელმწიფოში უნდა იყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარების პოლიტიკური ნება. რაც არ უნდა კარგი კანონი იყოს, როდესაც მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობს იმაზე, რომ რომელიდაცა პოლიტიკურმა ძალამ გაიმარჯვოს, კანონი არ შესრულდება თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსმა არჩევნების გაყალბებისთვის ან პლაკატების ჩამოხვევისათვის დახურევა დააწესოს. 1995 წელს პოლიტიკური ნება იყო ერთი პოლიტიკური ძალის გამარჯვება, ამ შემთხვევაში მოქალაქეთა კავშირის. ჩვენი წარმომადგენლების მიერ მრავალი ფაქტი იქნა დაფიქსირებული, მასალებზე გაეგებანა პროკურატურას, მაგრამ არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

დღეს საქართველოში ძალოვანი და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის ცენტრალური საარჩევნო კომისიაც, არ არიან მზად, უბრალოდ არა აქვთ პოლიტიკური ნება რომ ჩაატარონ ნამდვილი, დემოკრატიული და თანასწორი არჩევნები. საქართველო არ არის დემოკრატიული ქვეყანა, ჩვეულებრივი ავტორიტარული რეჟიმი და არჩევნებიც შესაბამისად იცევი წესით გარდება.

რა გავაკეთოთ? რა უნდა მოვიფიქროთ ისეთი, რომ წინ ადევდეთ დარღვევებს მომავალ არჩევნებში, მითუმეტეს, კარს არის მომდგარი ადგილობრივი არჩევნები. სახელმწიფო სტრუქტურების იმე და არ უნდა გვექონდეს, რაც არ უნდა ვუგზავნოთ ჩვენ პოლიციას, პროკურატურას მასალები, არავითარი რეაგირება არ მოყვება. ის პოლიციელი თუ გამგებელი, რომელმაც კანონი დაარღვია, ისევე იმ თანამდებობაზე იქნება, მაღლობასაც ეცევიან და უხბრეს ბევრს

კიდევაც, რომელმაც პირნათლად შესარულა ის გვგმა, რაც 1995 წლის არჩევნებისას იყო დაწესებული. რა უნდა მოვიფიქროთ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ისეთი, რომ ადგილობრივი არჩევნებისათვის წინ აღუკვედვით მასობრივ ფალსიფიკაციას. ჩემი აზრით, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არჩევნების დროს პარტიების როლი გაიზარდოს. პირველ რიგში საჭიროა დაფინანსების საკითხის მოგვარება. პარტიებს უნდა ჰქონდეთ შენაძლებლობა, რომ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში სრულად იყვნენ წარმოდგენილი და არ უნდა შეგვეშინდეს იმისა, რომ ბევრი იქნებიან. რაც მეტი იქნებიან, დარღვევაც ნაკლები იქნება. ერთი და ორი კაცის დამინება თუ მოქრთამება უფრო ადვილია ვიდრე ათი და ოცისა. იმისათვის, რომ პარტიული წარმომადგენლობა და როლი გაიზარდოს, პარტიულ დამკვირვებლებსა თუ კომისიის წევრებს ყველანაირად უნდა შევუწყულოთ ხელი.

თანდათან რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, ჩვენი უცხოელი მეგობრების დახმარებით, ალბათ მომავალშიც მოეწყობა კონფერენციები და საუბრები. ხომ არ შეგვექმნა რაღაც საზოგადოებრივი ერთიანი სტრუქტურა, რომელიც შეთავაზდებოდეს გაუწევს არჩევნებს, მითუმეტეს მომავალ სამ წელიწადში ყოველ წელს იქნება არჩევნები. რასაკვირველია, ის არ შესაძლებელია, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფუნქციას. ეს შესაძლებლობას მოგცემს, შევამციროთ გაყალბების პროცენტი.

დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორებს დიდ მადლობას გადაუხუდი ასეთი თემის წამოწვევისათვის. მხარს ვუჭერ კონფერენციის წინა მოსამზადებელი შეხვედრის დროს გამოთქმულ აზრს, არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური პარტიების დამკვირვებელთა მოსამზადებელი კურსების ორგანიზების შესახებ. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებს შესაძლებლობა მიეცემათ წარმატებულ თაყიანითი წარმომადგენლები, რომლებიც კვალიფიკაციას აიმაღლებენ საარჩევნო სფეროში. თუ გვინდა რაღაც დონით შევამციროთ გაყალბებები, ხელი უნდა შევუწყულოთ საზოგადოებრივი და პარტიული დამკვირვებლების ძლიერი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

**ირაკლი კენჭოშვილი (კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება):** კანონები საქართველოში ისევე არ მუშაობს, როგორც არ მუშაობს და საბჭოთა პერიოდში. თეთი სტალინურ კონსტიტუციამაც იყო შენანიშნავი პუნქტები, მაგრამ იყო ქაღალდზე და არაფის არც კი ახსოვდა. მოსკაბაბოური სივრცის აღმამანები თვლიან, რომ კანონი ერთია და ხელისუფლებას რაც უნდა ეს არის მთავარი. ამომრჩეველი ფიქრობს, რომ სჯობს ეროვნული ძალები, მაგრამ ვიდრე

შევირდნაბე მართავს ამ რეჟიმს, ისინი მაინც ვერ მოხვდებიან პარლამენტში, ამიტომ რა აზრი აქვს მათ მიცემა ხმა. ამომრჩეველთა ეს წყება სხვადასხვა კატეგორიად გაიყო: ერთი დიდი წყება საერთოდ არ წაიდა არჩევნებზე, სხვები დაიფანტნენ, ვინ საით და ვინ საით. ამიტომ ფსიქოლოგიურად ასე განწყობილი საზოგადოებაში კანონი უნდა იყოს ისეთი, რომ მოსახლეობამ დაინახოს, რომ ამ კანონის უკან დგას არა რეჟიმი, არამედ რაღაც სხვა ძალა. ხელისუფლების მხრიდან ისეთი კანონის მიღებას და მერე ამ კანონის ისე ამოქმედებას, რომ დემოკრატიულად ჩატარდეს არჩევნები არ უნდა მოველოდეთ. როგორც ყოფილი იუგოსლავიის სხვადასხვა გეოგრაფიულზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის ინსტიტუტების ვეგიით ჩატარდა არჩევნები, ვერც აქ ჩატარდება დემოკრატიული არჩევნები, დასავლეთის სტრუქტურების ჩაურევლად, ჩვენ პოლიტიკური პარტიები ძალიან დავამავევთ, დასავლეთის საერთაშორისო სტრუქტურებთან კონტაქტზე თუ არ გავალოთ და არ გავაგებებნებთ მათ, რომ საქართველოში და კავკასიაში შვილობა მანამდე არ იქნება, ვიდრე საქართველოს მმართველი პოლიტიკური სპექტრი ძალიან ვიწროა.

კონფერენციის თემა ფაქტურად ცენტრალური საკითხია წლის ბოლომდე და 1998 წლის დასაწყისში. მომავალ წელს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მოვლენა იქნება თვითმმართველობის არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემის აზრით, მერეც რომც ავირჩიოთ, პომო სოფიეტიკუსის ფსიქიკა ისეთია, უმრავლესობა მაინც ცენტრალური ხელისუფლების ყმად დარჩება. ამიტომ 1998 წლის არჩევნებში საქართველო ან გადარჩება ან დაღუპება. გამოსავალი ერთია, რომ მივმართოთ ევროსაბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებს.

**მა თიკანაძე (ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა):** მე მინდა აზრი გამოთქვა, როგორც უბრალო მოქალაქემ. სამწუხაროდ შეინიშნება ტენდენცია, რომ პარტიები, რომლებიც ვერ მოხვდნენ პარლამენტში, დამარცხებას მიაწერენ საარჩევნო პერიოდში მომხდარ დარღვევებს. რასაკვირველია, დარღვევები იყო, ამას აღიარებს საარჩევნო კომისიაც, მაგრამ გააძმწყვეტი ფაქტორი, ეს არ არის. ვისურვებდი პარტიებმა ისაუბრონ იმაზე, თუ რატომ არის პარტიების შემოხა აბომრჩევლებთან ასეთი სუსტი. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი. ვერანაირი ევრო საბჭო, ვერანაირი ფორუმი, ვერ ამაძლებს მოსახლეობის პოლიტიკურ კულტურას, ეს არის პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ამოცანა, სწორედ ამაზე უნდა იმუშაონ პარტიებმა.

**რეპლიკა დარბაზიდან:** სანამ ადგილებზე ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მეშვეობით იქნება, პოლიტიკური კულტურა არასოდეს არ ამადლდება.

**ია თიკანაძე:** არცერთი ხელისუფლება არცერთ ქვეყანაში არ შეუწყობს ხელს და განსაკუთრებულ უფლებებს არ მისცემს ოპოზიციურ პარტიებს. პარტიებმა უმჯობესია იმაზე იზრუნონ, რომ რამდენი საარჩევნო უბანიც არის, იმდენი კომპეტენტური წევრი მაინც უპაუდლო.

ესეც ის კი არ არის, რომ ერთმა პარტიამ დაარღვია კანონი, უარესი ის არის, რომ ჩემი აზრით, არჩევნებში მონაწილე პარტიების უმრავლესობა ცდილობდა ამის გაკეთებას.

**დავით კუპრეიშვილი:** როგორ უნდა მოიქცნენ პარტიები, როცა დარღვევები სახელმწიფო პოლიტიკაა? რომ არ ყოფილიყო მასობრივი ფაქტობრივობა, ვერ მოაგროვებდა მოქალაქეთა კავშირი ამდენ ხმას!

**ნოდარ ნათაძე:** არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, საქართველოში მომუშავე დიპლომატმა მითხრა, იყოფოდა, გაყალბება ძირითადად სიების მიმართულებით იქნება.

**რეპლიკა:** და ასეც მოხდა!

**გიორგი მესაშვილი:** ცრაბ ძნელია, ისაუბრო ორი წლის წინანდელ ამბებზე, მაგრამ გამომსჯელოს საწინააღმდეგოდ შემიძლია ერთი ფაქტი მოვიყვანო: კომისიას ვთხოვე და მხარი დამიჭირეს, რომ ექვების მაქსიმალურად გასაფანტად, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოსულიყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წინასწარი შედეგების ოქმები. შეგახსენებთ, რომ საქართველოში იყო 2600 საარჩევნო უბანი, სადაც სამი-სამი კაცი იყო მხოლოდ ზედა საარჩევნო კომისიის დანიშნული. ყველა საარჩევნო კომისიიდან როგორც კი ეს ინფორმაცია მივიღეთ, მეორე დღესვე, პირველ საათზე გამოვიქვეყნეთ წინასწარი შედეგები. შემდეგ უკვე როცა დავაღვივეთ საბოლოო შედეგები, ფაქტურად არანაირი განსხვავება არ ყოფილა წინასწარ და საბოლოო შედეგებს შორის. წინასწარი შედეგები კი

მოსული იყო იმ კომისიებიდან, სადაც პარტიების წარმომადგენლები იყვნენ უმეტესობა, შეგახსენებთ რომ თბილისში 40 კაციანი კომისიები იყო, მოქალაქეთა კავშირს ყავდა 2-3 წევრი, უმეტესობა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ და მათ გადასცემს ეს ინფორმაცია. ჩვენ ცსკ-ს ჩვენი კომპეტენცია გვაქვს, ჩვენ ვერ ჩავერევით საოლქო და საუბნო კომისიების მუშაობაში.

**ნოდარ ნათაძე:** ძირითადი გაყალბება ხდებოდა არა ხმების დათვლაში, არამედ ხმის მიცემასა და სიების შედგენაში.

**გიორგი მესაშვილი:** სწორედ მაგას გვეხებოდა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ მეტი, მაგრამ არ იცოდნენ საქმე როგორ გააკეთებინათ. რაც შეეხება 24%-ს, მოდით სხვა ქვეყნების მაგალითებიც ავიღოთ. მაგალითად პოლონეთში 1991 წელს არჩევნებში მონაწილეობას იღებდა თითქმის 60 პარტია და 29 პარტია გავიდა. ელემენტარული არითმეტიკაა. კონსტიტუციის მიღების დროს, მე პირადად ვუბნებოდი სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს: ნუ დააწესებთ 5%-იან ბარიერს, ძალიან დიდი პროცენტია. როდესაც 54 ერთეული იღებს მონაწილეობას არჩევნებში, იქ ვიღაც იღებს 0%-ს, ვიღაც 2%, და ა.შ. მე საერთოდ მეგონა, რომ მხოლოდ ორი პარტია გავიდოდა, ელემენტარულად ხმების გადანაწილების წესია. თქვენ თქვენი სისუსტეები დაინახეთ, მარტო სხვას ნუ დააბრალებთ ყველაფერს. ყველამ ჩვენი სისუსტეები უნდა გამოავსწოროთ, ჩვენ ყველაფერი, რომ გამოავსწოროთ ჩვენი შეცდომები, მაგრამ ისევ თქვენი დახმარებით, რადგან ჩვენი წევრები თქვენი წარმომადგენლები არიან.

**ვახტანგ ხმალაძე:** დღევანდელი კანონმდებლობა პრინციპში იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ არჩევნები იყოს დემოკრატიული, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ საზოგადოება, ჩვენი პოლიტიკური ისტაბილიზმები არ არის ამისათვის მზად. თვითონ ამომრჩეველსაც არაა რაღაც მაჩინია, რომ ვიღაცის თხოვნით მისცეს ხმა, აიღოს და 20 ბიულეტენი ჩაავსოს. თუ მოახერხა, კომისიის წევრი ჩაყრის ბიულეტენებს თავისი პარტიის სასარგებლოდ, კანონის დარღვევა არ აწუხებს. კანონით ჩვენ შევიკრიბა დამატებითი ბარიერები შევექმნათ. თუ ათ ბარიერს შევექმნით, კანონის დამრღვევა შეიძლება ცხრას გვიღოს აუაროს, მაგრამ მთავრად ფხი წამოკრას. მაგრამ ეს პანაცეა ვერ იქნება. მთავარია, საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნა.

**თემურ გორგოლიანი** (კონსერვატორული პარტია): მე ვინცბო რეალობას, სამწუხაროდ დღეს კონკრეტულ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ჩვენ შეგვიძლია პოზიცია გამოვხატოთ და იქნებ ვიდავის ყურამდე მივიდეს. მე ორი წლის განმავლობაში არ მომეცა საშუალება, რომ ჩემი პოზიცია გამოვხატა ბოლო არჩევნების მიმართ. როცა არჩევნებში მონაწილე საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე 5 დღით ადრე დამაკავეს, ცენტრალური საარჩევნო კომისია ცოცხათი მაინც უნდა შეწუხებულიყო, მაგრამ არც კი დაინტერესებულა, არც კი უკითხავს რაგომ? რაც შეეხება დარღვევებს, საინტერესო კონკრეტულ ფაქტს მოვიყვან: ჩემი ოჯახის წევრებმა, ხომ ვიცი ვისაც მისცეს ხმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ საარჩევნო უბანში ჩვენი პარტიას არცერთი ხმა არ მიუღია. ჩვენი პარტიის წარმომადგენლების მიერ აქვით დაფიქსირებულ სხვა დარღვევებზეც არანაირი რეაგირება არ ყოფილა.

**გიორგი იაკობაშვილი** (ტრადიციონალისტთა კავშირი): ვეთანხმები ამრს, რომ დღევანდელი კანონი იძლება შესაძლებლობას წინ აღუდგეს ფალსიფიცირებას, მაგრამ დღევანდელი პარლამენტი აპირებს კომისიების კომპლექტაციის წესის შეცვლას. მე მაინტერესებს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლის არგუმენტების მოსმენა ამ მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით?

**მამუკა სამაკაშვილი**: კომისიების ფორმირების წესის შეცვლის ამრი პაერნიდან არ მოსულა. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი კომიტეტის და მისი თავმჯდომარის პოზიცია. 1992 და 1995 წლებში ჩატარებულმა არჩევნებმა დაგვიანხა დადებითი და მანიკური მხარეები. საარჩევნო კომისიების კომპლექტაციის შემოთავაზებული წესით იცვლება არა მხოლოდ კომისიების სტრუქტურა, არამედ მათი როლი და ფუნქცია სახელმწიფოში. ამჟამად სახელმწიფო სასამხურის შესახებ კანონში ცსკ საერთოდ არ იხსენიება. ის უფლებამოსილებები, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეს აკისრია, ცსკს წევრებს არ ეხებათ.

**ვახტანგ ხმაღამე**: სახელმწიფო მოხელე შეიძლება არსებული წესით შექმნილი კომისიის წევრებიც გახდნენ. კანონში ეს იმიგომ არ შევიდა, რომ ცსკ თავისი სრული შემადგენლობით არ არის მუდმივმოქმედი ორგანო (უფრო სწორად, მისი წევრები არ არიან

მიბმული წევრები). თქვენ რომ ყველა საარჩევნო კომისიის წევრი სახელმწიფო მოხელედ აქციოთ, საქართველოში 2600 საარჩევნო უბანია, ე.ი. 15 000-მდე ადამიანს ხელფასი უნდა გადაუხადოთ. თავის დროზე, სწორედ ფინანსების გამო გაკეთდა ასე, რომ კომისიების მხოლოდ მცირერიცხოვანი შემადგენლობა ყოფილიყო შტატიანი.

**თემა II უცხოეთის ქვეყნების გამოცდილება  
მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების გარანტიების  
რეალიზაციის შხრივ**

როზმარ ლა მონტი  
ამერიკის ალექსანდრია ასოციაციის

200 წელზე მეტია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და მას არჩევნების დიდი გამოცდილება აქვს. ხმის მიცემის უფლება თავიდანვე უნივერსალური არ ყოფილა და თანდათანობით გაფართოვდა. ეს პროცესი სხვადასხვა შტატში სხვადასხვანაირად მიდიოდა. ყველა შტატი თვითონ წყვედა, როგორ ჩაეატარებინა არჩევნები. ამჟამად შტატებისთვის საუკლებულო საარჩევნო წესებს განსაზღვრავს კონსტიტუცია. ჩვენ ქვეყანაში ყველანაირი არჩევნების დღე დაფიქსირებულია კანონით. 4 წლით ადრე ვიყით პრეზიდენტის მომავალი არჩევნების დღე კონგრესის არჩევნები 2 წელიწადში ერთი და იგივე დღეს ტარდება. ასე, რომ ჩვენიან გადაწყვეტილია, ის პრობლემა რაც თქვენ გაქვთ ვაძლებთან დაკავშირებით.

თქვენ ალბათ გატყინდებით კითხვები ცენტრალური საარჩევნო კომისიის შესახებ, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ დონეზე არ არსებობს ორგანო, მუსტად რომ გაველც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. მსგავსი ორგანოები აქვთ შტატებს. ყველა საგრაფოსა და რაიონში არის საარჩევნო კომისიები, რომლის წევრები არიან საჯარო მოხელეები. პარტიის მონიტორებს აქვთ უფლება თვალყური ადევნონ მათ მუშაობას. აშშ-ი მხოლოდ ორი ძირითადი პარტიაა, რაც ათიულებს მონიტორინგის პროცესს. პარტიული მეთვალყურეები გადიან სპეციალურ სწავლებას, ხანდახან თითოეული პარტია თვითონ ამზადებს თავის მეთვალყურეებს, ხანდახან კი პარტიები ამ მიზნისათვის ერთიანდებიან. საარჩევნო უბნები გახსნილია არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვისაც.

არჩევნების დროს, თუ მოქალაქე დაინახავს, რომ დარღვევა მოხდა, შეუძლია განაცხადოს პროტესტი, თუ კომისია ამ პროტესტს უარყოფს, მოქალაქეს საჩივარი შეაქვს სასამართლოში. ასეა შტატის დონეზე არჩევნების დროს, ხოლო ფედერალური არჩევნებისას საქმე სხვაგვარად არის, პროტესტი სასამართლოში კი არ მიდის, არამედ სენატის არჩევნების დროს — სენატში, წარმომადგენელთა

პალატის არჩევნების დროს — წარმომადგენელთა პალატაში, საპრეზიდენტო არჩევნებისას კი გაერთიანებულ პალატაში. ეს კონსტიტუციითაა განსაზღვრული, მაგრამ ბოლო ხანებში ამ წესს ხშირად აკრიტიკებენ. ბევრი ფიქრობს, რომ ჯობია პროტესტი წაიღიდეს სასამართლოში და არა პოლიტიკურ სუბიექტებთან.

კანდიდატების და პარტიების რეგისტრაციისათვის საჭიროა ბოლო არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობის 1%-ის ხელმოწერები. შესაძლებელია მონაწილეობისათვის. ფულის (2-3 ათასი დოლარის) გადახდაც. ხშირად ეს უფრო ადვილი, და იაფიც კი არის, ვიდრე ხელმოწერების შეგროვება. თუ არჩევნებში მონაწილემ ხმების 2-3%-ზე მეტი დააგროვა, ფული უკან დაუბრუნდება. ასეთივე სისტემაა ინგლისში. ინგლისში ითვლება, რომ თუ ფული არ დაუბრუნდა, ძალიან ცუდად ჩაატარე არჩევნები.

არჩევნების დროს მოქმედებს სპეციალური საარჩევნო სასამართლოები. ასეთი სასამართლოები ძირითადად ინდივიდუალურ საქმეებს განიხილავენ, როცა მოქალაქეები ასაჩივრებენ საკუთარ საარჩევნო უფლებების დარღვევას. აშშ-ში რეგისტრაციის პროცესი აქტიურია, ამომრჩეველმა 6 თვით ადრე უნდა გაიაროს რეგისტრაცია. თუ არ დარეგისტრირდა, არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას. თუ წინა 2 წლის განმავლობაში მოქალაქეს მონაწილეობა აქვს მიღებული არჩევნებში, ავტომატურად რჩება რეგისტრირებული. ამომრჩეველთა სიები ერთი თვით ადრე გამოიკვრება კომისიაში. თუ პიროვნება არაა სიაში, მაშინ ის მიდის სასამართლოში, რომელსაც იმავე დღეს გამოაქვს გადაწყვეტილება. როგორც წესი, არსებობენ მოხალისე იურისტები, რომლებიც ესმარებიან ამომრჩეველებს. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პოლიტიკურ პარტიებსაც ყავთ იურისტები და შეაქვთ ხოლმე საჩივარი სასამართლოში. ყველა შტატში არიან იურისტები, რომლებმაც იყიან ყველაფერი ამ შტატში არჩევნების შესახებ. არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებენ ფართო საგანმანათლებლო კამპანიას, რათა მოქალაქეები კარგად იცნობდნენ საარჩევნო კანონს. პოლიტიკური პარტიებიც არჩევნების წინა პერიოდში აერკვლებენ ფურცლებსა თუ პროშურებს, რომელიც აცნობენ მოქალაქეებს თავიანთ უფლებებს.

რაც შეეხება დაფინანსებას, ფედერალური მთავრობა მხოლოდ პრეზიდენტის არჩევნებს აფინანსებს. რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები პრეზიდენტობის თავიანთი კანდიდატის კამპანიისათვის ადვილად იღებენ ამ ფულს, რადგან დიდი პარტიები არიან. რომელიმე შესაძლო პარტიისათვის ფედერალური დაფინანსების მიღება დამოკიდებულია იმაზე, რამდენ შტატშია რეგისტრირებული და რამდენ ადამიანს შეუძლია პეტიცია შეიტანოს

ამ პარტიისათვის. მაგალითად, წინა საპრეზიდენტო არჩევნებში როს პერომაყ მიიღო დაფინანსება. მართალია აშშ-ს საარჩევნო პროცესის წარმართვის დიდი გამოცდილებაა აქვს, მაგრამ სიახლეებიც ინერგება. მაგალითად, მოსალოდნელია, უფრო გამართლოს სახელმწიფოს მხრიდან არჩევნების დაფინანსება.

დღის პირველ ნახევარში საუბარი შეუბო უდანიშაულობის პრე-ზუმპციას. ჩვენთან სასამართლოს მიერ პატიმრისათვის განაჩენის გამოტანამდე, ამ უკანასკნელს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობა. ამერიკის კონსტიტუცია, ისევე როგორც საქართველოსი, ამას არ ზღუდავს.

ასევე იყო ლაპარაკი წინასაარჩევნო შეხვედრათა ადგილებზე. ეს აშშ-ში ძალზე შეუზღუდავია. თქვენ შეგიძლიათ მიტინგი ნების-მიერ ადგილზე ჩაატაროთ, უბრალოდ მერე ფული უნდა გადაიხა-ლოთ, ამ ადგილის დასასუფთავებლად.

ამერიკაში საარჩევნო კომისიაში არ არსებობს პარტიისათვის რეგისტრაციის გაუქმების პროცედურა. სასამართლოს აქვს ამის უფ-ლება, მაგრამ ამის პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა.

**კითხვა:** რა შეიძლება ამერიკის საარჩევნო გამოცდილებიდან გამო-ყენებულ იქნეს საქართველოში?

**ლა მონტი:** ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციათა კონ-ტროლის არსებობა საარჩევნო უზნებში. აგრეთვე არჩევნების მონიტორების გრენინგი. მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართვა არჩევნების პროცესში. თუკი მოქალაქეებს ეცოდინებათ თავიანთი უფლებები, ისინი მონიღომებენ ამ უფლებების დაცვას, რაც უკეთესი გარანტიაა არჩევნების სამართლიანად ჩასატარებლად. ვიდრე უცხოელი დამკვირვებლები.

**კითხვა:** თუ შეიძლება უფრო დეგალურად სპეციალური სასამარ-თლოების შესახებ.

**ლა მონტი:** ესენი არ არიან სპეციალური სასამართლოები იმ გა-გებით, რომ გამოყოფილი არიან სხვა სასამართლოებისაგან. უბრა-ლოდ არჩევნების დროს შტატში თუ გარკვეულ რაიონში, რომელი-მე სასამართლოს ენიჭება უფლებამოსილება შეასრულოს ეს ფუნ-ქცია. ისინი მოვალენი არიან იმ დღესვე განიხილონ შემოსული სა-ჩივრები.

**კითხვა:** რა სანქციები არის გათვალისწინებული დარღვევებისათ-ვის?

**ლა მონტი:** ამ სფეროში გამოცდილებიდანაც შეიძლება საქართვე-ლომ ბევრი რამ ისწავლოს.

თუ სახელმწიფო მოხელე შეეცდება გააყალბოს არჩევნების შედეგი, სასჯელი ძალიან მძიმეა. გაყალბება ისჯება 10 წლით.

**რეპლიკა ღარბაზიდან:** აბა წასულა ნახევარი საქართველო ციხეში!

**კითხვა:** ფულადი ჯარიმები როგორია?

**ლა მონტი:** იდეილუალური პირებისათვის თუ არის თავისუფლების აღკვეთა, პოლიტიკური პარტიებისათვის ამან შეიძლება მიიღოს ფუ-ლადი ჯარიმის სახე. პარტიისათვის ჯარიმა შეიძლება იყოს მილიო-ნობით დოლარი.

**თემა III საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით  
სხვადასხვა (პარტიულ და არაპარტიულ)  
ორგანიზაციებს და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის  
თანამშრომლობის შესაძლებლობები**

პაბაბა ზურაბიანი

*მშვიდობის, განვითარებისა და ლემოკრატის კავასიური  
ინსტიტუტი*

**არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო  
ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის ინტერესთა  
თანხვედრა და თანამშრომლობის პერსპექტივები  
საარჩევნო სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით**

შესავალში გვინდოდა გამოგვეთქვა თვალსაზრისი, რომელიც ასახავს მესამე სექტორის ინტერესთა კუთხეს საარჩევნო სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით.

არჩევნების პროცესში პასიურ დაკვირვებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან დამკვირვებლის აბსოლუტური მიუკერძოებლობის შემთხვევაშიც კი აქვს თავისი სუსტი მხარეები.

როდესაც არჩევნები გარდება მნიშვნელოვანი დარღვევებით დამკვირვებელთა მიუკერძოებელი დასკვნის გამოქვეყნებას შეიძლება მოჰყვეს ორი რამ:

- ერთი ის, რომ შეიძლება უბიძგოს საზოგადოებრივ აზრს არჩევნების შედეგების გაუქმებისა და განმეორებითი არჩევნებისაკენ, რაც თავისთავად პოლიტიკური დაძაბულობის მრდას იწვევს და დესტაბილიზაციის ექვივალენტურია;
- მეორე ის, რომ საზოგადოებამ რეაქციის გარეშე დატოვოს ჩატარებული არჩევნების სამართლიანობის კრიტიკა, რაც უთუოდ საზოგადოებაში პოლიტიკური ნიჰილიზმის გაღრმავების გოლფუასი იქნება.

რათა თავიდან იქნეს აცილებული ორივე უთუოდ უარყოფითი შედეგი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ უნდა შემოიფარგლონ

დამკვირვებლის ფუნქციით და თავის თავზე უნდა აიღონ არჩევნებში მონაწილე პარტიათა და კანდიდატთა ადვოკატურა საარჩევნო უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

თუ საზოგადოება ხელავს, რომ ხარვეზებით ჩატარებული არჩევნების პროცესში მესამე სექტორის ძალისხმევამ გამოიწვია დარღვევათა მნიშვნელოვანი ნაწილის ოპერატიული გამოწვორება ან კანონის დამრღვევთა პასუხისმგებლობის რეალიზაცია, თავიდან იქნება აცილებული, როგორც საზოგადოებრივი აზრის ნიჰილიზმი საარჩევნო ინსტიტუტისადმი, ასევე დესტაბილიზაციის მომენტი და ამავედროულად განმტკიცდება რწმენა მესამე სექტორის ქმედითუნარიანობის მიმართ.

ეუქეტრო იქნებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისეთი ძალისხმევა, რომელიც ხელს შეუწყობდა, როგორც არჩევნებამდე ჩასატარებელ ქმედებებს სამართლიანი შედეგების მისაღწევად, ასევე საარჩევნო კანონის კონკრეტულ დამრღვევთა პასუხისმგებლობის უზრუნველყოფას, კანონისადმი პატივისცემის კულტურის განმტკიცების მიზნით.

ასეთ ძალისხმევათა რიგში შეგვეძლო დაგვესახელებინა:

- საარჩევნო პროცესის ნორმატიული ბაზის დახვეწის ხელშეწყობა;
- აღმასრულებელ ორგანოთა თანამდებობის პირების პროფესიული უნარის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- და ბოლოს, პარტიათა უნარის გამძლიერება არჩევნებზე კვალიფიციური კონტროლისა და საკუთარ უფლებათა დაცვისათვის.

თუკი გემოთქმულით გარკვეულად შევხებით მესამე სექტორის ინსტიტუციონალურ ხელვას და ინტერესებს საარჩევნო სისტემის დახვეწის თვალსაზრისით, ახლა ორივე სიგვეთ განვიხილოთ პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალური ინტერესები.

თუ პარტიებს პირობითად დავყოფთ სუსტად ორგანიზებულად ან ძლიერებად ერთის მხრივ, ხოლო მშრთველ ან ოპოზიციურ პარტიებად მეორეს მხრივ, „სუსტი“ და ოპოზიციური პარტიები შეიძლება მივაკეთონოთ ინტერესთა ჯგუფების ერთ მხარეს, ხოლო „ძლიერი“ და მმართველი – მეორე მხარეს.

აღვიდალ დასაზახია „სუსტ“ და ოპოზიციურ პარტიათა ინტერესი, როგორც დარღვევათა საწინააღმდეგო პრვენციული და რესტრუქციული მექანიზმების განმტკიცების, ასევე მესამე სექტორის იმ შესაძლო ძალისხმევის მიმართ, რომელიც გააძლიერება და გარკვეულწილად გაათანაბრებად პარტიათა უნარს თავიანთი საარჩევნო უფლებების კვალიფიციური ადვოკატურის თვალსაზრისით.

რაც შეეხება „ძლიერ“ პარტიებს ან მმართველ პარტიას, ჩვენი აზრით, მათი ინტერესებიც ამ მიმართულებით არანაკლებია, რამდენადაც საქმე ეხება პარტიათა ინსტიტუციონალურ განმტკიცებას.

თუკი პარტიის ბუნებრივი ინტერესია არჩევნებში გამარჯვების შედეგად გაეყვანა მოახდინოს თავისი მომხრეთა საჯარო სამსახურში დასაქმებაზე, მის ინტერესში სულაც არ შედის პირიქითი პროცესი, ანუ თანამდებობის პირების შირი არჩევნების შედეგებზე „გაჯდნის“ მოხდენა. ასეთ შემთხვევაში პარტიაში დაიწყებოდა თანამდებობის პირთა მიერ პარტიული არისტოკრატის შექმნა, რომელიც იმოქმედებდა თავისი კერძო ინტერესებით. შედეგად, მმართველი პარტია გადაიქცეოდა ხელისუფლების პარტიადა, ანუ მისი დებოდა პარტიის ხელისუფლების ინვერსია ხელისუფლების პარტიადა. რა თქმა უნდა, რომ ასეთი პერსპექტივა „ძლიერ“ (კარგად ორგანიზებულ) პარტიას არ მოხიბლავს, თუკი იგი დემოკრატიული პრინციპითაა ორგანიზებული.

მოდით, ახლა შევხვით სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა ინტერესებს.

საკანონმდებლო ხელისუფლება დაინტერესებულია სამოგალოებრივ ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფების შრიდან თავიანთი პოზიციების კვალიფიციური ლობირებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, არამარტო მათი ინტერესების ცოდნით, არამედ იმ არგუმენტებით, რომლებიც შესაძლოა ხდის ამ ინტერესების გათავისწინებას საერთო სამოგალოებრივი ინტერესების დაურღვევლად ან მათ სასარგებლოდ. კანონმდებელმა ისედაც იცის პარტიათა უმრავლესობის (განსაკუთრებით კი მცირე პარტიების) ინტერესი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფორმირებაში პარტიების უშუალო მონაწილეობის შესახებ, მაგრამ მას აინტერესებს არგუმენტი, თუ რატომ არ გამოიწვევს ამგვარი ამგვარი ინსტიტუტის შენარჩუნება პარტიათა ხელოვნურ დაქვემდებარებას და გამრავლებას, ან რა საარგებელს მოიგანს იგი არჩევნების შედეგების სამართლიანობისათვის.

საკანონმდებლო ხელისუფლების დაინტერესების ამ ჭრილში გარკვეულ სამოგალოებრივ ინტერესთა ჯგუფური ლობირება, რაც ჩვენი დღეიანდელი კონფერენციის მანძილზე შედის, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პარტიებთან მათი თანამშრომლობის ის მაგალითია, რომელიც გამრავალფეროვნებას და გაძლიერებას მოიხსობს.

ახლა რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას. მათზე სამოგალოებრივი ორგანიზაციების შრიდან სამოქალაქო კონტროლის და ამ უკანასკნელთა კავშირების გაძლიერების ფონზე საკანონმდებლო ხელისუფლებასთან, იქმნება მათი დაინტერესების გარკვეული სფერო, რაც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაცია პერ-

სონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მესამე სექტორთან ინფორმაციის მუდმივ ურთიერთგაცვლაში მდგომარეობს. ეს აისახება იმით, რომ მესამე სექტორის მიერ გარკვეულ კანონთა ლობირებას შეიძლება მოჰყვეს აღმასრულებელი ხელისუფლების ინვესტიციური მხივრულების შემდეგად, რაც მის ბუნებრივ ინტერესებში არ შედის. ამის გამო ამ უკანასკნელს სჭირდება საფუძვლიანი არგუმენტები და ოპერატიული ქმედება თავისი პოზიციის დასაცავად. ამას გარდა, ადმინისტრაციითა დაბაღვი კვალიფიკაცია ძლიერი სამოქალაქო კონტროლის შემთხვევაში საფრთხეს უქმნის აღმასრულებელი ხელისუფლების ავტორიტეტს.

ამ ინტერესთა ჭრილში შესაძლებელი იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ისეთი თანამშრომლობა, რომელიც მიმართული იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ვთქვათ გრუნინგებისა და სემინარების საშუალებით. მაგალითად, შეიძლება მოეფიგნოს საარჩევნო კომისიების წევრთა შესაძლო გრუნინგები არასამთავრობო ორგანიზაციების შრიდან.

რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, იგი ბუნებრივად დაინტერესებულია რეგულირებულ, ანუ პოლიტიკური მიზანშეწონილების მხრივ ოპტიმალური კანონმდებლობით, ასევე საჯარო სამსახურის პერსონალის მაღალი კვალიფიკაციით და სამოგალოებრივი სექტორის მხრივ ინტენსიური სამოქალაქო კონტროლით. ამ სამივე კომპონენტის განვითარება ხელს უწყობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ცხოვრებაში რეალურ განხორციელებას. რაც უფრო მეტია თითოეული ამ რეგულაციის სისუსტე მით უფრო ემგანებება სასამართლო გადაწყვეტილებები პოლიტიკური (პოლიტიკური მიზანშეწონილებით ნაკარგობის) ან კერძო ინტერესებისგან გამოდინარეს. ამგვარი განვითარება ქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობის ატროფიის საფრთხეს, რაც მოხდა კიდევ საბჭოთა კავშირის დროს.

რათა ნათელვყოთ ეს დებულება, დაეშვათ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები მუდმივ არაკვალიფიციურ მდგომარეობაში ამქვეყნებენ პოლიტიკურად მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტისას. სასამართლო ხელისუფლების შრიდან ასეთ ქმედებათა კანონიერ ბლოკირება შესაძლოა მოჰყვეს ხელისუფლების ქმედითუარიაზობის პარალიზებას, რაც, თავის მხრივ, სასამართლოებზე პოლიტიკური მექანიზმის საფრთხეს შრდის.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე შესაძლებელია სასამართლო ხელისუფლების ნაყოფიერი თანამშრომლობა მესამე სექტორთან იმ გრუნინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობით, რომლებიც მიმართულია, რეგულაცი სამოგალოებრივად აქვეყნებულ



საკითხთა ჯგუფური ლობირებისაკენ ასევე საჯარო სამსახურის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ.

რა შეიძლება ითქვას, საარჩევნო სისტემის დახვეწასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პარტიებსა და ხელისუფლების თანამშრომლობის იმ კონკრეტულ ფორმებზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, შეიძლება სიცოცხლისუნარიანი იყოს.

მნიშვნელოვანდ მიგვაჩნია პარტიული დამკვირვებლების გრუნინგ-პროგრამების განხორციელება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. თუ ამგვარ საჭიროებას თვით პოლიტიკური პარტიები ხელდაევენ, რამედაც თავისი შეხედულებების გამოთქმა აქ დამსწრეთ გვიჩინა ვითარებით, მესამე სექტორში უთუოდ მოიძებნება ძალიანი უსასი ძალუბთ ამგვარი პროგრამების ხორციელებსა.

არჩევნებში მონაწილე პარტიათა და კანდიდატთა უნარის გაძლიერება, თავიანთი საარჩევნო უფლებების კვალიფიციური ადოკატურის თვალსაზრისით, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პარტიებს შორის თანამშრომლობის ის სფეროა, რომელსაც მეზოთ უკვე შეეხებო. ამ მხრივ, ჩვენი კონკრეტული წინადადება, რომელიც ამ კონფერენციის დისკუსიის საგნად გვიჩნდა ვაქციოთ, მდგომარეობს, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფარგლებში, დამოუკიდებელ იურისტთა სამსახურის შექმნაში. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიასა და კანდიდატს იგი თანაბრად დაეხმარებოდა, ერთის მხრივ მათ საარჩევნო უფლებების აღდგენასთან დაკავშირებული სასარჩელო (სასამართლო) პროცესების კვალიფიციურად წარმარ-თვამი და, მეორეს მხრივ, დარღვევათა საწინააღმდეგო პრევენციული მექანიზმის ამოქმედებაში, სისხლის სამართლის პრევენციული მექანიზმის ამოქმედებაში, სისხლის სამართლის პროცესთა პრევენციების რეალიზაციის გზით.

მნიშვნელოვანდ მიგვაჩნია აგრეთვე პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების სადამკვირვებლო საქმიანობის კოორდინაცია არჩევნების პროცესში დამოუკიდებელ დარღვევათა ერთიანი და ოქრატული მონაცემთა ბაზის ორგანიზებისათვის. ცალკე აღებულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საჯარაულთ არ ეყოთ შესაძლებლობა ყველა საარჩევნო უბანზე ყავადეთ სავითარი დამკვირვებლები. ამდენად, თუკი ასეთი მონაცემთა ბაზა რეალიზებული იქნებოდა, ეს უფრო სრულყოფილს გახდებდა არჩევნებზე დაკვირვების სურათს. რა თქმა უნდა, თითოეული პარტიის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცალმხრივო იქნება პარტიული ინტერესების გათვალისწინების შედეგად, მაგრამ ჯამბუსი სურათის სრულყოფაზე ეს მაინც დადებით გავლენას მოახდენს. ამავე დროს ასეთი მონაცემთა ბაზა ხელს შეუწყობდა იმ იურიდიული სამსა-

ხურის მხრიდან დარღვევათა საწინააღმდეგო პრევენციული მექანიზმის ამოქმედებას, რომელზეც მეზოთ ვილაპარაკეთ.

რაც შეეხება პარლამენტთან თანამშრომლობის, მნიშვნელოვანდ გვესახება, რომ დღევანდელ კონფერენციას გაგრძელებად მოჰყვებიან კონფერენციები და ვორშოპები, რომლებიც უფრო კონკრეტულად შეეხებოდნენ არჩევნებთან დაკავშირებული ამა თუ იმ ნორმატიული დოკუმენტის დახვეწის საკითხებს. თუკი ჩვენ მიერ ორგანიზებული დღევანდელი კონფერენცია ხელს შეუწყობს ამგვარი კონკრეტული და აქტუალური თემების გამოვლენას, მიზანი გარკვეულწილად მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

გვიჩნდა აღენიშნოთ, რომ სასამართლო ხელისუფლების (პროკურატურის ჩათვლით) მონაწილეობა საზოგადოებრივ დისკუსიებში (კვიძოლ კი, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებულ დისკუსიებში) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საჭიროებს. რაც უფრო სრულად იქნება სასამართლო ხელისუფლება ინფორმირებული საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიურობის კონკრეტულ გუნდებზე, რაც უფრო სრულყოფილი იქნება პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შთაბეჭდილება ამ ხელისუფლების ფუნქციონირების რეალურ მექანიზმებზე და შესაძლებლობებზე, მით უფრო ეფექტური იქნება არჩევნებზე სასამართლო კონტროლი და მით უფრო კონფერენციური იქნება მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობა საარჩევნო პროცესში.

მნიშვნელოვანი თემაა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობა. სასურველი იქნებოდა მინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობა კონფერენციებსა და სწმინარებში, სადაც განხილულ იქნებოდა საარჩევნო პროცესში მათი როლის კანონმდებლობითი საზღვრები.

რადღენივ სიკვით მინდა შევეხო საარჩევნო კანონმდებლობაში დარღვევების საწინააღმდეგო მექანიზმების საკითხსაც.

როგორც გამოცდილება გვეკარნახობს, დარღვევათა მნიშვნელოვანი ნაწილი გამოწვეულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზების თანამდებობის პირების მიერ თავიანთი მდგომარეობის მორტიკად გამოყენებით. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს დარღვევები საარჩევნო კომისიების წევრთა მონაწილეობის წევრთა გარეშე ითქმის შეუძლებელი იქნებოდა.

როდესაც საარჩევნო კანონმდებლობაში დარღვევები საწინააღმდეგო მექანიზმებზე ვილაპარაკობთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მექანიზმები ნაწილობრივ მოიცემა სისხლის სამართლის და აღმინისტრაციული სამართლის კოდექსებში. არჩევნების შესახებ კანონი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წესდება და მის მიერ

მეშემაველები ინსტრუქციები არის ის ნორმატიული ბაზა, რომელიც ასხეულებს მოქალაქეს კონსტიტუციურ საარჩევნო უფლებას. ამ ნორმატიულ მოთხოვნათა დარღვევა იწვევს შესაბამის კოლექტიურის ამოქმედებას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ დარღვევების საწინააღმდეგო პრევენტიული მექანიზმი. რატომ პრევენტიული? მაგალითად, საარჩევნო ლოკუბენტების კონკრეტული ფალსიფიკატორის მიმართ სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა ამცირებს სხვების მიერ ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების ალბათობას. მიუხედავად ამისა, კონკრეტულ სისხლის სამართლის პროცესს არ მოაქვს დარღვევის შედეგად დაკარგული საარჩევნო უფლების აღდგენა (რესტრუქცია), ან არჩევნების შედეგების გაუქმება.

ამ მექანიზმის გარდა უნდა გამოყოფოთ საარჩევნო უფლებათა დარღვევის საწინააღმდეგო რესტრუქციული მექანიზმიც. ეს მექანიზმი განსხვავებულია არჩევნების შესახებ კანონში და მდგომარეობს შემდგომი საარჩევნო კომისიების (და უზენაესი სასამართლოს მიერ) აღმინისტრაციული სასამართლო უწყისის რეალიზაცია საშუალებას იძლევა შესაფერისი სარჩელის საფუძველზე დარღვეული საარჩევნო უფლების რესტრუქციის (ანუ დაბრუნების), რაც შეიძლება გამოიხატოს კანდიდატისათვის დარღვევის შედეგად არჩათვლილი სმების ჩათვლაში (დაბრუნებაში), ან შესაბამის უბანში არჩევნების შედეგების გაუქმებაში.

თითოეული ამ მექანიზმის ქმედითობაზე წარმოდგენას გვაძლევს პრაქტიკაში მათი ამოქმედების პრეკედენტები. თუ ამ მხრიდან შევხედავთ საქმეს, დაინახავთ პრევენტიული მექანიზმების პრაქტიკულ არაქმედითუნარიანობას. არ ყოფილა ადრული არჩევნითი სისხლის სამართლის პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებზე დაკვირვების შედეგები ამ კატეგორიის დანაშაულის ობიექტების სიმრავლეზე მიუთითებდა.

სამაგიეროდ, წარმოჩნდა რესტრუქციული მექანიზმის ქმედითობა. ეს გამოიხატა როგორც შემთხვევები კვალიფიციურად წარდგენილი სარჩელების შედეგად, კანდიდატისათვის უკანონოდ არჩათვლილი სმების დაბრუნებაში და ა.შ., რაც საფუძველს გვაძლევს გულწრფელად ეუმალოდეთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ პრევენტიული მექანიზმების არაქმედითობის მიზეზები?

NDI-ის მიერ მოწყობილ გუდაურის კონფერენციაზე პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის წარმომადგენელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საარჩევნო კომისიების ფორმირების წესი, გარკვეულად ართულებს მათ წევრებზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას (ლაპარაკია უთუოდ სისხლის სამართლის

კოდექსის იმ თავზე, რომელიც თანამდებობრივ დანაშაულს ეხება). მართლაც, დღევანდელი საარჩევნო კომისიები კვამი საზოგადოებრივი ორგანიზაცია უფროა, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლება. მიუხედავად ამისა, ჩვენ მანც ვთვითვ, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დღევანდელი საარჩევნო კომისიების წევრებსაც ისევე აკისრებს თანამდებობრივი დანაშაულის პასუხისმგებლობას, როგორც ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირებს. აქედან გამომდინარე, ეს არგუმენტი ცს.კ.ს ფორმირების წესის შეცვლისათვის არ გამოდგება.

იმავე გუდაურის კონფერენციაზე საკონსტიტუციო საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლის მიერ გამოთქმული იყო ოპიი, რომ საარჩევნო უფლებათა დარღვევის შესახებ სასამართლო ხელისუფლების მიერ ინფორმაცია (კერძოდ კი *სამართლიანი არჩევნების* მიერ უზენაესი სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია) აფიქსირება რა დანაშაულის ობიექტს, არ წარმოაჩენდა დანაშაულის ობიექტს და, ამ მხრივ, ნაკლები იყო მიზნის მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით მინდა დავსვა ასეთი კითხვა – თუკი მაშინ, როცა მოქალაქე ქუჩაში მოკლულ ადამიანს პოულობს, ე.ი. აფიქსირებს დანაშაულის ობიექტს და სასამართლო სისტემა, კერძოდ კი პროკურატურა, თვითონ ადრძავს შესაბამის პროცესს გამოძიების სახით, დანაშაულის სუბიექტის აღმოსაჩენად, ნუთუ რაჟე უშლის ხელს ანალოგიური პროცესის აუცილებლობას საარჩევნო უფლების ხელყოფის დროს?

მიუხედავად მემოტიუმულისა, განსახილველი მექანიზმის არაქმედითობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად არჩევნებში მონაწილე სუბიექტების (კანდიდატების, პარტიების) პასიუობა, ან უფრო სწორად, თავიანთ უფლებათა კვალიფიციური დაყვის ნაკლებობა მიგვაჩნია. რაც უფრო სუსტად ორგანიზებულია არჩევნებში მონაწილე სუბიექტი (პარტია იქნება ეს თუ დამოუკიდებელი კანდიდატი), ფინანსური მხარის ჩათვლით, მით ნაკლებია მისი უნარი თავისი უფლებების კვალიფიციური დაყვისა. შედეგად ვიღვთ სუსტის უფლებების დარღვევის მეტ ალბათობას. მაგრამ არ უნდა დაგვაიფიქვს, რომ არჩევნებში მონაწილე სუბიექტის უფლებების დარღვევა მხოლოდ მისი ინტერესების შელახვა როდია, ეს საერთო საზოგადოებრივი ინტერესების შელახვაა, ამიტომ კარგი იქნებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც ამის ძალა შესწევთ, ძალისხმევა მიემართათ არჩევნებში მონაწილეთა ადოკატურის უნარის გათანაბრებისაკენ.

მეორე ძირითად მიზეზად დარღვევებისა საწინააღმდეგო პრევენტიული მექანიზმის არაქმედითობისა, გვინდა დავასახელოთ ნორმატიული ბაზის არასრულყოფილება.

რამდენადაც სისხლის სამართლის კოდექსით თანამდებობრივი დაუღვერობის საფუძველი სამსახურეობრივ მოვალეობათა არაჯერონებად შესრულება, მიზანშეწონილია, რომ საარჩევნო კომისიების წევრთა სამსახურეობრივი მოვალეობები და კომპეტენციები მკაცრად გამოიხვეწოს და პერსონიფიცირებული იყოს საარჩევნო დოკუმენტაციის მიმოქცევის ყველა ცალკე არსებულ ეტაპზე, შესაბამისი ნორმატიული აქტებით. უნდა მაქსიმალურად ადარიდოთ თავი კოლექტიურ პასუხისმგებლობას. საარჩევნო კომისიის ოქმი უნდა იყოს უბანზე არჩევნების შედეგების შეფასების გამომხატველი დოკუმენტი და არა კომისიის წევრების კოლექტიური პასუხისმგებლობისა. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ პრინციპის სრულყოფილი განხორციელება გარკვეულად რთულია, სანამ საარჩევნო კომისიებს არ ჩამოერთმევათ აღმინისტრაციული სასამართლო ფუნქცია და იგი მთლიანად არ გადავა ხელისუფლების კომპეტენციაში.

### დაპირი ყოშიანი

გაზეთ „ახალი თაობის“ რედაქტორის მოადგილე

არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საქმეში მასმედიას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია. ერთ-ერთი ამერიკელი კონგრესმენის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არჩევნების თავისუფლება პრესის თავისუფლებამა და დაუნებელი“. მართალია, არჩევნების დროს მასმედიის მუშაობა განსაკუთრებულ რეჟიმში მიმდინარეობს, მაგრამ მისი საქმიანობის ძირითადი პრინციპი, საზოგადოებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებისა, არ იცვლება. მართალია, ამ დროს ჩნდება ასე ვთქვათ „ტექნიკური პრობლემები“, მაგრამ ასეთი პრობლემები სხვა სპეციფიკურ სიტუაციაში იწვევს ხოლმე თავს. საარჩევნო კამპანიის დროს კონკრეტული გაზეთისა თუ ტელეკომპანიისთვის გაჩენილი ძირითადი „ტექნიკური პრობლემა“ საარჩევნო პროცესის გამუქების მიღა-პოლიტიკის ჩამოყალიბება, ჩნდება ბევრი კითხვა: განვითარდის თუ არა სხვადასხვა პარტიების პოლიტიკური რეკლამა? როგორი უნდა იყოს ფასი? საკუთარი ინფორმაციაში როგორ მოკახვრდით არჩევნების მონაწილე ყველა სუბიექტზე თუ გავანაწილოთ ყურადღება, რომ საზოგადოებას ცალმხრივი ინფორმაცია არ მიეწოდოს? გამოვალდინოთ თუ არა საკუთარი პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიები? და ა.შ.

არჩევნების დროს მასმედიის მნიშვნელობა იზრდება. გამოკვლევებით ცნობილია, რომ როცა მოქალაქე ყოყმანობს და არ იცის, ვის მისცეს ხმა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთავარ როლს მასმედია თამაშობს.

ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბდა გავლენიანი და ფინანსურად დამოუკიდებელი მასმედია. განსაკუთრებით ბუკდვით მდიდარ შეიძლება ამის თქმა. გაზეთებს აქვთ საკუთარი კომპიუტერული ცენტრი, გავრცელების სისტემა. ზოგს თავისი სტამბა ე. წ. ყველაფერი საშუალებას აძლევს მით, იყენებ აბსოლუტურად დამოუკიდებელი ხელისუფლებისაგან და დაუბრკოლებლად გამოითქვან საკუთარი შეხედულებები. თანდათანობით ფუხვდ ღვებთან დამოუკიდებელი ტელეარხებიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასე რომ, უკვე შეიქმნა საკმაოდ ფართო სპექტრი საინფორმაციო საშუალებებისა და ჩემი აზრით, სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებს აღარ უნდა გაუჭირდეთ თავიანთი შეხედულებებისა და პოზიციის ფართო აუდიტორიისათვის გაეცნობა, მათ შორის არჩევნების პერიოდშიც. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ თუ მათ უნდათ მასმედიასთან ეფექტური მუშაობა, რაც თავისებური, სპეციფური საქმეა, კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ ამ მხრივ.

ახლა მინდა მოკლედ გამოვეყო საარჩევნო პროცესში დაოქმდებული ის არაკანონიერი ქმედებები, რომლებმაც ხელი შეუშალა მასმედიის მუშაობას:

- **პოლიტიკური მოგვიით გირაის კონფისკაცია ან პროგრამის ეთერიდან მოხსნა.** იგივე აჭარამი გაზეთ „მერიდიანის“ მთელი გირაი იქნა ამოღებული, რადგან მასში ა. აბაშიძის კარიკატურა იყო მოთავსებული.
- **ეურნაღისტია და მასმედიის საშუალებათა მფლობელების ღვჯა.** მაგალითად 1995 წლის არჩევნებამდე რამდენიმე ხნით აღწერ, ფაქტურად წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისში, გაუგებარი ბრალდებით დააკვეს გაზეთ „რემონანის“ მფლობელი მალხაზ რამიშვილი, რომელიც მხოლოდ არჩევნების შემდეგ გაათავისუფლეს.
- **სამხედრო მდგომარეობის მოგვიით მასმედიის მუშაობის შეჩერება.** ისე აჭარას გაიხსენეს, სადაც სამხედრო ნაწილებში გამოცხადებული იყო სამხედრო მდგომარეობა, რის გამოც იქ გადაზავებული საარჩევნო უბნებში ეურნაღისტები არ დაგვიშვეს.

შეიძლება არჩევნების დროს მასმედიის მიერ ჩადენილი დარღვევების მოყვანაც:

- **სამოგალოებრივი გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება ორი კვირით ადრე.** ჩემის აზრით ეს არც კი შეიძლება დარღვევად ჩაითვალოს. კანონით არჩევნებამდე ორი კვირით ადრე რაგომაც არ შეიძლება სამოგალოებრივი გამოკითხვების შედეგების გამოქვეყნება. აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ? თუ ეს ავტომატურად ითვლება, მაინც რატომ აღარ შეიძლება მისი გამოქვეყნება არჩევნებამდე ბოლო ორი კვირის განმავლობაში, როცა კანონით ავტომატურად არჩევნების დღემდე დაშვებულია. ჩემი აზრით, ეს მუხლი ამოსაღებია კანონიდან.
- **სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი მასშედიის მიერ უარის თქმა მოგერიანი კანდიდატის ინფორმაციის გამოქვეყნებამდე.** მაგალითად, 1996 წლის აჭარის არჩევნებში, გამოთმა „აჭარამ“ არ გამოაქვეყნა რესპუბლიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა.
- **პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.** მაგალითად, ვადაცუმა „ვილიოპარტულმა“ ერთ-ერთი კანდიდატის შესახებ შეკეთრად უარყოფითი ინფორმაცია გადასცა არჩევნების წინა დღეს, გვიან საღამოს, როცა უკვე სასაქსოლ დრო აღარ რჩებოდა.

საერთოდ, სახელმწიფო გულევიზია საუბრის ცალკე თემაა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონის თანახმად, ყველა პარტიასა და პრეზიდენტობის კანდიდატს თანაბრად გამოუყო უფასო სათიერო დრო, პირველმა არხმა მაინც მოახერხა, რომ ცალმხრეულად გაემუქებინა საარჩევნო კამპანია. ახალ ამბებში ხშირი იყო ფარული ავტომატურად, ანუ რეპორტაჟით შეინიღბული პოლიტიკური რეკლამა.

ჩვენთან, მასშედიის საშუალებების მიერ საარჩევნო კანონის დარღვევისას, საჩივარი შედის ცსკ-ში. მაგალითად, რუსეთში ამ სახის საჩივრებს, რომლებიც ხშირად ძალზე სექციონარულია, ჯერ განიხილავს სპეციალური ორგანო – საინფორმაციო არხობრავი. შემდეგ უკვე ამ არხობრავის დასკვნადართულს, ცენტრალური საარჩევნო კომისია. სხვა ქვეყნებშიც არის მსგავსი ორგანოები. მასში შედიან ეურნალისტები, ასე რომ ერთგვარი თვითრეგულირების მექანიზმი. შეიძლება ფიქრი იმაზე, ჩვენთანაც ხომ არ შექმნილიყო რამე ამდაგვარი.

ბოლოს მინდა დავძინო, რომ თანდათანობით ქართული დამოკიდებულება მასშედიის გამოყენების იქნეს და მე მგონი, მომავალ არჩევნებში უკეთ მოახერხებს შესაძლებლობა მისცეს ამოტყველებს, არჩევანი გააკეთონ მაქსიმალურად სრული და ობიექტური ინფორმაციის არსებობის პირობებში.

### აღვლლობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები და სამოგალოება

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს სამოგალოების დამოკიდებულების გარკვევა არჩევნების ნორმალურად ჩატარების საკითხისადმი.

როგორც ცნობილია, ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაციისა, შეიმჩნევა მესამე სექტორის სწრაფი განვითარება. ეს უკანასკნელი უკვე სერიოზული განხვადებით გამოდის და მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც მიმდინარე რეფორმათა ღობირების, ისე სამოგალოებრივი გზის შექმნის პროცესში.

ბუნებრივია, რომ არჩევნების პრობლემა, როგორც დემოკრატიული ცხოვრების წესის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი, ეგრე დარჩებოდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ყურადღების გარეშე. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში უკვე მოქმედებს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც აღნიშნული პრობლემის კვლევას იწვევს.

სწორედ ამ მუშაობის შედეგია მოგიერთი ის დასკვნა, რომელთაც დღეს წარმოგიდგენთ.

უპირველესად ყოვლისა, ყურადღება მინდა გავახეხილო საკითხის ფორმალური ასპექტისადმი.

საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მართალია, რეფორმების აუცილებლობას ყველა აღიარებს, მაგრამ ისე ფაქტია, რომ არც მოსახლეობას, არც სახელმწიფო აპარატს, ბოლომდე არ აქვს გააზრებული ამ პროცესის მიმდინარეობა და მოსალოდნელი რეზულტატები. გამოცდილების უქონლობა და ინფორმაციის სიმწირე ქმნის სავსებით ბუნებრივ შიშს ხელისშეწყობისადმი. ასეთი განწყობა კი, საბოლოო ჯამში, აიძულებს ბიუროკრატის ყვადღის რეფორმათა გეგმის შენელებას ან სრულ შეჩერებას, რათა მაქსიმალურად გაისინგრძლიოს ბატონობა.

სანამ პრობლემათა ჩამოთვლაზე გადავალ, თავს მოვალე ვთვლი შეგახსენოთ ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც დღევანდელ ვითარებამდე მიგვიყვანა.

საბჭოური სისტემის შეცვლის პირველ პოსტსაბჭოურ ცდას წარმოადგენს 1990 წლის 14 ნოემბერს მიღებული კანონი გარდამავალი პერიოდის შესახებ. 1991 წლის 14 მაისს გამოვიდა კანონი საკრებულოების შესახებ. კანონის თანახმად ადგილებზე განმკარგვლებულ ორგანოებს – საკრებულოებს, ხოლო აღმასრულებელ ორგანოს რაიონში ან რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქში – პრეფექტურა, მმართველობის პირველ დონეზე კი გამგებელი ან გამგეობა წარმოადგენდა.

არჩევით წარმომადგენლობით ორგანოს მართადა საკრებულოს გამგეობა გამგებლით სათავეში. საკრებულო ირჩევდა გამგეობას და გამგებელს, რომელიც წარადგენდა პრეფექტი. 1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ იქნა ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა – საკრებულოთა არჩევნები.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 1992-1993 წლების მანძილზე, გამოვიდა მინისტრთა კაბინეტისა თუ სახელმწიფოს მეთაურის რამდენიმე ურთიერთგამორიცხვადი ადგილობრივი სახელისუფლო ახალი დადგენილება, როგორც წესი, აუქმებდა წინამორბედს და უკანონოდ აცხადებდა მათ.

1995 წლის კონსტიტუციამ ქვეყნის აღმინისტრაციულ-გერციკორიული მოწყობის სისტემა არ იქნა შექმნილი.

1995 წლის 16 სექტემბერს გამოცემულ იქნა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება № 362 – დროებითი დეკლუბა საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე მმართველობის ორგანოებად გამგეობებს (ქალაქებში – შესაძლოა მერიებს) ასახელებდა. დებულების მიხედვით ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილება უნდა გაგრძელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებამდე. გამგეობები შექმნილი იყვნენ იერარქიული, დანიშნითი პრინციპის მიხედვით, რაიონული გამგეობის თავმჯდომარეებს ნიშნავდა და ათავისუფლებდა პრეზიდენტმა.

თუ როგორია ახლახანს პირველი მოსმენით მიღებული კანონი თვითმმართველობის შესახებ, ამაზე ყურადღებას აღარ გვაფასხვებ. წინა გამოშვებებზე უკვე ილაპარაკეს ამ საკითხზე. ამასთან ჯერ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდება ადგილობრივი არჩევნები.

ეს რაც შეეხება სახელმწიფო სტრუქტურათა მუშაობას, არანაკლებ მნიშვნელოვანია, როგორია მოსახლეობის განწყობა აღნიშნული საკითხის მიმართ?

პოსტსაბჭოური ამოცანების წესისათვის დამახასიათებელია ერთი გარემოება – მოსახლეობის უნდობლობა და საუკეთესო შემთხვევაში ინდიფერენტობა კანონებისადმი. ეს ბუნებრივია, საბჭოურ სისტემაში სახელმწიფო და კანონები აბიორი უარყოფით განცლებს ბადებდა. კანონი აღიქმებოდა არა როგორც ცალკეული პირისთვისა თუ სხვადასხვა სოციალური სტრატის დამცველი სისტემა, არამედ როგორც დამსჯელი მექანიზმი.

80-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა მასობრივმა გამოხატვებამ მოსახლეობის ფართო ფენებში ეფორია გამოიწვია, რომელიც პირველი მრავალპარტიული არჩევნებისა და ბლოკი „მრგვალი მაგიდას“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველ ხანებშიც გრძელდებოდა.

განსხვავებამ საკანონმდებლო მოღვაწეობასა და რეალურ პოლიტიკას შორის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, უმეტესწილად პრივილეგირებული ფენების იმედგაცრეება გამოიწვია, რამაც მნიშვნელოვანდ შეუწყო ხელი 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებულ ქაროცესებს.

1992 წლის არჩევნებში ფაქტურად მოსახლეობის მხოლოდ მესამედი მონაწილეობდა. არაქართული მოსახლეობა (განსაკუთრებით განაპარა რეგიონებში) არ ენდობოდა ქართულ ხელისუფლებას, ხოლო ქართული მოსახლეობის ნაწილი (ე.წ. შვიადისკები) არ ენდობდნენ მის ლეგიტიმურობას. არჩევნებში მონაწილეთა 96% სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ე. შევარდნაძე აირჩია, როგორც უალტერნატიუო პიროვნება. იგივე არ ითქმის პარლამენტის არჩევნებზე, სადაც 26 პარტია და ბლოკი მიხვდა. ასეთი შედეგი პოსტსაბჭოური პერიოდის საქართველოში არა სხვადასხვა ძალთა ბალანსის, არამედ მოსახლეობის დაბნეულობის მაუწყებელი იყო.

საერთოდ, პოსტსაბჭოურ საქართველოს ახასიათებს ქარიზმის როლის გადაჭარბებული შეფასება. ამის მაგალითად შეიძლება ის ფაქტიც გამოვლდეს, რომ გამსახურლის ქარიზმის წინააღმდეგ გამოსულმა პოლიტიკურმა ძალებმა თვითონ შეუწყვეს ხელი თავიანთი ლიდერის გაფეტვებას. 1992-1997 წლებში აშკარად სახეზე შევარდნაძის ექსპერტული ძალაუფლების შეცემა ქარიზმატიკული ძალაუფლებით.

ქარიზმის დიდი როლი გამოიხატა 1993 წლის სექტემბერში, როცა სახელმწიფოს მეთაურმა გადაადგომა გამოაცხადა. მისი მომხრეების რეაქციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, მიუხედავად მათი პოლიტიკური კუთვნილებისა.

ამავე დროს შეინიშნება საზოგადოების ინდიფერენტობის მრავალი თუ სამეგრელოში – ექსპრემიულენტ გამსახურების მთავარი საყრდენ რეგიონში 1992 წელს მოსახლეობამ შევარდნაძის ქვეყნიერებაში, ხოლო სამთავრობო ძალები, როგორც ოკუპანტები, ისე მიიღო, 1994 წლის ივნისში დამატებითა არჩევნებამ ამ რეგიონში თითქმის უუწყესოდ ჩააბარა. მასში მოსახლეობის 60% მიიღო მონაწილეობა და შევარდნაძის ორიენტაციის კანდიდატის მისცეს ხმა. მოსახლეობა, რომელიც დაიდალა ქაოსით, ნებისმიერ ძალას დაუჭერდა მხარს, რომელიც სიმშვიდის გარანტიას მისცემდა.

1995 წლის 5 ნოემბრის საპარლამენტო და საპრემიულენტო არჩევნებში მრავალპარტიული ოპოზიციის პარტიანებს გარეთ დარჩა. ამას ხელი შეუწყო როგორც მოსახლეობის სულ უფრო მზარდმა ინდიფერენტობამ, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან განხორციელებული მაქინაციების მთელმა სიკვამლეო. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გამოიკვეთა პარტიათა განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობები, არჩევნების დღეს მთელ რიგ საარჩევნო უბნებში დაფიქსირებულ იქნა კანონისა და დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევა, რამაც გააღებინა იქონია არჩევნების სამართლიანობაზე. ხშირი იყო საარჩევნო ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამართალდამცავთა ჩარევა, წარმოიჩინდა ხმის დაძვინჯვით კომისიათა არაკომპეტენტურობა და საარჩევნო კანონის დაუხვეწაობა. პროცედურული დარღვევები იყო როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის, ისე თვით სახელმწიფოს მეთაურის მხრიდანაც, რომელმაც წინასაარჩევნო პერიოდში კანონის მხრიდან აკრძალვის მიუხედავად განახორციელა მთელი რიგი საკადრო გადაადგილებები.

ფაქტურად ერთპარტიულმა პარლამენტმა გააგრძელა წინამორბედთა მიერ დაწყებული საკანონმდებლო მოღვაწეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი წინა მოწვევის პარლამენტთან შედარებით უფრო პროლექტულია და 1990-1991 წლების უზენაეს საბჭოს მოგვაგონებს, როგორც მიღებულ კანონთა მრავალრიცხოვნებით, ისე მათი არაუტექტურობითაც.

ორიოდე სიტყვა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებზე.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია პოლიტიკურ პარტიათა როლის მკვეთრი შემცირება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული პოლიტიკური სექტორი მეტისმეტი სიჭრელთ გამოირჩევა – 1990 წლის არჩევნებში მონაწილეობდა 14 ბლოკი (34 ორგანიზაცია), 1992 წელს – 47 ორგანიზაცია, 1995 – 54 ორგანიზაცია. პარტიებისათვის დამახასიათებელია სწრაფი სექტანტობისა და დამლისაყენ. სახეზეა გარკვეული სოციალური ბაზის უქონლობა, გაერთიანება ქარიზმითა გარემო, მყიფე სტრუქტურები. ფაქტურად ყველა პოლიტიკური პარტიის (მათ შორის თვით კომუნისტური პარტიების) იდეოლოგიას ნაციონალიზმი წარმოადგენს. ქართული პარტიები ხშირად ატარებენ XIX-XX სს. მანჯანგ არსებულ ქართული პოლიტიკური გაერთიანებებისა თუ თანამედროვე დასავლური ორგანიზაციების სახელებს, თუმცა ფაქტურად არა ჰგვანან არც ერთს და არც მეორეს.

ყოველივე ეს მტკად უმეფის ხდის დღევანდელი პოლიტიკური პარტიების პერსპექტივებს. ფაქტურად ერთადერთი პოლიტიკურ ძალა, რომელმაც შეინარჩუნა თავის სახე, სმპ წარმოადგენს. ეს ორგანიზაცია ფაქტურად შეერწყა სახელმწიფო სტრუქტურებს და, შეიძლება ითქვას, საქართველოში პოსტსაბჭოთა კომპარტიის როლს თამაშობს.

ყოველივე მეორეთქმული გვაძლევს რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას :

- „შვიდისტური“ ხანის აქტივობის შემდეგ, 90-იან წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის ფართო ფენების პოლიტიკურობა, რაც გამოწვეულია მოსახლეობაში რწმენის დაკარგვით, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა შეძლებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას;
- დიდი ეკონომიური კრიზისი, რომლის დაძვინჯვა ნელა ხდება, არ იძლევა მნიშვნელოვანი (საერთოთვითონული და ფინანსტეკადი) პროგრამების განხორციელების საშუალებას (1995 წელს ბიუჯეტი შეადგინდა 190 მლნ. აშშ დოლარს, 1996 – 555 მლნ., ხოლო 1997 – 840 მლნ. დოლარს);
- სახეზეა სახელმწიფო სტრუქტურათა, განსაკუთრებით ძალთან სტრუქტურათა გაძლიერებისა და რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია, რაც ბუნებრივია, კვლავ ბიუჯეტს აწვევს. ამავე დროს, სახელმწიფო მოხელეთა დაბალი შემოსავალი და გაურკვევი

ლობა ხელსაყრელ საფუძველს უქმნის მათი მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და უპირველესად ყოვლისა, კორუფციას.

ორიოდე სიტყვა პერსპექტივებზე, უკვე აქედანაა ნათელი, რომ საქართველოში:

- ხანმოკლე რეფორმების ნაცვლად პროცესი ხანგრძლივად წარიმართება;
- მთავრობის მხრიდან მოსახლეობის ისეთი მასობრივი მხარდაჭერის მოპოვება, როგორც 1989-1992 წლებში იყო, არარეალურია;
- ყოველივე ეს მეტად მყოფე ხასიათის ანიჭებს სახელმწიფო სტრუქტურებს და მათ საგარეო თუ სამინაო, ასევე პიროვნულ ფაქტორებზე – თუ ვინ იქნება პრემიერდენგის შემკვიდრე – დამოკიდებულად აქცევს.

როგორია გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან?

რა თქმა უნდა, არსებული რთული სიტუაციიდან გამოსვლისათვის მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო. პერმანენტულმა საგარეო თუ სამინაო მარეხმა მეტისმეტად შეარყია ახლად დამოუკიდებლობაპოვებულმა სახელმწიფოს პოზიციები. უპირველესად ყოვლისა, გაუესობის ხარისხი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მეტისმეტად გაიზარდა და შეიძლება ითქვას, საბჭოური პერიოდის სიტუაციასაც კი გადააჭარბა. ამატომ მოსახლეობის ინტერესის გაღვივება სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ და საკუთარი პასუხისმგებლობის გაძლიერება უპირველეს ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად სახელმწიფო აპარატის მხრიდან გარკვეული მცდელობისა, მოსახლეობის გამააქტიურებელ უმთავრეს ძალას სწორედ არასამთავრობო სექტორი წარმოადგენს. აქ თავმოყრილია ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი. პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით, ეს ორგანიზაციები არ მისაწრაფიან ხელისუფლების ხელში აღებისაკენ, რაც საზოგადოების თვალში არ შეიძლება მათი ავტორიტეტის ამაღლებაზე არ მუშაობდეს.

სწორედ მესამე სექტორმა, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პარტიებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, და რაც მთავარია, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტში უნდა აიღოს თავზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ფენების ჩაბმის საკითხის გადა-

წყვეტა. ასეთ დროს ადგილობრივი ინიციატივების გამოვლენა და მათი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს.

როგორც ცნობილია, უახლოეს მომავალში უნდა ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურები დღეისათვის სუსტად ფუნქციონირებენ, ხოლო თვითმმართველობა, როგორც ცნობილია, არ არსებობს. თუ დასავლურ გამოცდილებას გაემაიარებთ, მოქალაქეთა სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის დაახლოებით 80% სწორედ ადგილობრივ დონეზე მოიღოს.

თუ როგორი იქნება ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურა, ეს გენიკური საკითხია, მაგრამ ერთი უნდა ითქვას – ნებისმიერ დონეზე, სადაც არსებობს საკუთარი ბიუჯეტი, კონგრულის მიმინთ აუცილებლად უნდა არსებობდეს წარმომადგენლობითი ორგანო.

და ბოლოს, ქვეყნე ერთხელ უნდა გაეცხვას ხაზი იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო სტრუქტურათა მუშაობისას, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის დონეზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსახლეობის ინფორმირებასა და მათი მართვის პროცესში ჩართვას უნდა მიენიჭოს.

რა უნდა გაკეთდეს ამ მიზნით ?

უპირველესად ყოვლისა, შევცვლილი უნდა იქნეს სახელმწიფო აპარატის ქვეყის კოდექსი. თუ საკანონმდებლო ინიციატივა კანონმდებლ ორგანოთა პრეროგატივას წარმოადგენს, ქვეყის კოდექსის ნორმათა შემუშავება სწორედ საზოგადოებრივი ამრის მცვლის შედეგია.

ამრიგად, უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებრივი აქტივობის მრდა და სწორედ აქ არასამთავრობო სექტორს უღელესი როლის თამაში შეუძლია. მასის უღელესი ნაწილის ამორფულობის გამო სწორედ მათ უნდა ითამაშონ გადაწყვეტი რლო.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გაეთვალისწინებთ, რომ სიტუაცია სახელმწიფო აპარატში საკმაო გაურკვევლობით ხასიათდება. რეგიონები, როგორც წესი, გრადიციის გავლენით ელოდებიან, რომ არსებულ პრობლემებს მოლიანად ცენტრი გადაწყვეტს. თუმცა არსებობს ადგილობრივი მმართველობისათვის გარკვეული ლეგიტიმურობის მინიჭების ცდებიც.

თავისთავად არჩევნებში მონაწილეობა ბევრს ნიშნავს. მიუხედავად იმისა, როგორი საარჩევნო სისტემაა გაბატონებული ქვეყანაში. დღეისათვის არსებულ ორ საარჩევნო მეთოდს – მაიორი-

გარულსა და პროპორციულს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

პროპორციული სისტემა — აძლიერებს პარტიის როლს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსენსუსს და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, მაგრამ არჩევნების შედეგები ადგილებზე ძნელად განისწორებინდება, მცირდება ანტიინფლაციური ეფექტი ცალკეული ამომრჩევლის წინაშე, ნელდება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი.

მაიორიტარული სისტემა — იძლევა არჩევნების ნათელ შედეგებს. იზრდება ცალკეული დეპუტატის ანტიინფლაციური ეფექტი, ჩქარდება გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი, მცირდება ქარიზმაზე დაფუძნებული პარტიის როლი, მაგრამ აქ ყურადღება მარტო ცალკეულ კანდიდატებზე მახვილდება, იზრდება ბიუროკრატის როლი, იმდებლობა ინტერესთა სფერო.

მაგრამ ორივე შემთხვევაში საზოგადოების ფართო ფენების ჩაბმა იდეალურია ცალკეულ მოსაზრებათა რეკლამისათვის. ხალხს ეძლევა საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება ამა თუ იმ მტკიცე ნიშნულ პრობლემის გარშემო.

ხალხთან ხშირი შეხვედრები საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ხალხის განწყობა (თუნდაც არასწორი), ამასთან ყოველთვის არის შესაძლებლობა, დავეყრდნობოთ ხალხის ნებას და ამით გავამართლოთ წარმოებული პოლიტიკა.

არსებობს საზოგადოებასთან მუშაობის გაფართოების ხუთი ძირითადი მიზეზი :

- შეხვედრებზე ორგანიზაცია იმკიცებს ხალხის მხარდაჭერას;
- აღამიანებს მოსწონთ, როცა აზრს ეკითხებიან და დალბობიან განწყობიან ამა თუ იმ იდეის მიმართ;
- იქმნება წარმოდგენა, რომ ორგანიზაციამ, რომელიც ასეთ პოლიტიკას ატარებს, „იცის თავის საქმე“;
- იქმნება საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი;
- პერსპექტივაში ხდება ორგანიზაციებში ახალი კადრების მოზიდვა.

განსაკუთრებით მომგებიანია საჯაროობა ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვისას და მხარის (ქალაქის, თემის, სოფლის) განვითარების პროექტის შედგენისას. ამ შემთხვევაში აღამიანები წინასწარ ეჩვენებენ მოსალოდნელ შედეგებს. ამასთან მათ შეიძლება მოგვეცინოს ისეთი რჩევებიც, რაზეც ჩვენ არ გვიფიქრია.

არსებობს საზოგადოებასთან მუშაობის ორი აპრობირებული საშუალება — საჯარო მოსმენები და სამოქალაქო კომიტეტები.

საჯარო მოსმენა ან განხილვა უნდა მოეწყოს იოლად მისაღებ ადგილებში, სასურველია სამუშაო დროის მერე, აუცილებელია საზოგადოების წინასწარ ინფორმირება, რადგან ეს წინასწარ განწყობს ხალხს პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისადმი. აქ მთავარია არა დამსწრეთა ოდენობა, არამედ საზოგადოებისათვის იმ აზრის მიწოდება, რომ ასეთი რამ ხდება.

მაგრამ ეს შეხვედრები ვერ იქნება პერმანენტული. შეზღუდული შეხვედრის დროსაც, როგორც წესი, იდეალურია შეკრება, რომელიც მაქსიმუმ 1,5-2 საათს გრძელდება. იდეების გენერირებისათვის კი იდეალურია სამოქალაქო კომიტეტების სისტემა, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის აქტიურობის მთავარ გამოხატულებას და ფაქტურად ინიციატივით აღამიანების მუდმივმოქმედ ორგანოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ამით ახდენს იმ იდეის ან პოლიტიკური ძალის პოპულარიზაციას, რომელიც სურს, რომ ხელისუფლებაში მოიყვანოს. ამასთან იქმნება საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივი მექანიზმი და აქტიურდება საზოგადოებრივი აზრის მექანიზმი. ეს კი, თავის მხრივ, აიძულებს ხელისუფლებას, რეალურად იფიქროს ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესების ცხოვრებაში გატარებაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: არასამთავრობო სექტორს პოლიტიკური პარტიებისათვის შეუძლება საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება, ხოლო პოლიტიკურ პარტიებს მესამე სექტორისა და საერთოდ საზოგადოებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკის გატარება.

## დისკუსია

**დ. დავითაშვილი** (სოციალისტური პარტია): სისიამოვნოა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები გეგმავენ და ახორციელებენ ამაღლებურ ღონისძიებებს. მე წარმოვიდგენ ორ ორგანიზაციას, ვარ ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, ხუთი წლის მუშაობის გამოცდილებით და სოციალისტური პარტიის საპარლამენტო მდივანი.

რამდენიმე სიტყვით მიინდა შევეხო აქ გამოთქმულ მოსაზრებებს. საარჩევნო კამპანია იმდენად დაბალბი და პრომაგველი პროცედურაა, რომ ჩემი აზრით, წინა არჩევნებზე ცსკ-მ ძირითადად შესარულა თავისი ფუნქციები. მთელი არჩევნების მანძილზე, რო-



გორც ცსკ-ს წევრი, მიმაგრებული ვიყავი გულევიზიზმზე. კანონიდან გამომდინარე, შეიქმნა გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ყოველ პოლიტიკურ ორგანიზაციას ერთნაირი დრო გამოეყო, არცერთი წუთი უფასო დამატებითი ეთერისა არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონია.

კანონმდებლებისა და ცსკ-ს ურთიერთობის შესახებ მინდა უკმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ისე მიმდინარეობს მუშაობა არჩევნების შესახებ კანონებზე, რომ არ არსებობს არავითარი პარტინიორობა ამ ორგანოებს შორის. ამჟამად მიდის ნამდვილი ძალადობა, რათა პარლამენტის არჩევნების კანონში მთლიანად შეიცვალოს კომისიების დაკომპლექტების წესი. ახალი წესი ფაქტურად ხელისუფლების ლიქტატის ქვეშ მოაქცევს მთელ საარჩევნო პროცესს. ეს ცსკ-ს იმ ჯანსაღი და გამოყვანილი ნაწილის აზრია, რომელიც არჩევნებზე წლების განმავლობაში მუშაობდა. ყველაზე კარგად ვიცი, როგორ დაინშნა პარლამენტმა ცსკ-ში შეიდი წევრი. არჩევნის კრიტერიუმი პროფესიონალიზმში კი არ იყო, არამედ ის, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას მიეკუთვნებოდა კომისიის მომავალი წევრი.

რა თქმა უნდა, საარჩევნო კანონში ცვლილებები შესაგანია, მაგრამ ერთი მუხლი კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს არა მალულად, არამედ ღიადა და ცსკ-საც უნდა ჰქონიონ აზრი. არა მგონია, რომ რომელიმე დეპუტატს საარჩევნო მუშაობის მეტი გამოცდილება აქვს და უკეთ იცნობს ამ სფეროს, ვიდრე ცსკ-ს წევრი.

წინა გამომსვლელმა ბრძანა, რომ ამჟამად არსებული პარტიებიდან მხოლოდ ერთი პარტიას აქვს მომავალი. მე ამას ვერ დავუთანხმები. სწორედ დასახელებულ პარტიას არა აქვს პერსპექტივა, ამას უახლოესი მომავალი გვაჩვენებს. ასევე გამოითქვა აზრი, საქართველოში არსებული პარტიები მხოლოდ ერთი პიროვნების პარტიებად აღიქმებაო. მაგალითად, სოციალისტური პარტიის ვახტანგ რჩეულიშვილის პარტიად დასახელება არ არის სწორი. ჩვენი პარტია მრავალრიცხოვანია, კიდევ უფრო ფართოვდება და მოქალაქეები შემოდინან არა იმიტომ, რომ ეს ვახტანგ რჩეულიშვილის პარტიაა, არამედ მასში ნამდვილი ევროპული ყაიღის პარტიას ხედავენ.

**გიორგი იაკობაშვილი:** გრადიციონალისტთა კავშირის აზრით, გამგებლები და ყველა ქალაქის მერი, მათ შორის თბილისისა, არჩეული უნდა იყოს. ჩვენ ვთხოვეთ ცსკ-ს, მოეცა უფლება შეგვეკრება 200 ათასი ხელმოწერა, რათა შემდეგ მიგვემართა მოსახლეობისათვის საჩუქრულად შეიქონივით. ცსკ-მ ფარული კენჭისყრით

უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო. შემდეგ მით უფრო გასაკვირია, უზენაესმა სასამართლომაც უარი გავითხრა. უცნაურია, რომ თუშეაღა უზენაეს სასამართლოში მოსარჩლევ და მოპასუხეც (ცსკ-ს იურიდიული განყოფილების უფროსი), ერთი აზრისა იყვნენ, რომ გრადიციონალისტებს უნდა მიეცეს რეფერენდუმის ჩატარების უფლება, სასამართლომ საპარისპირო გადაწყვეტილება გამოიტანა. პროცესის შემდეგ, როცა გაცემულმა მოსამართლეს ვკითხეთ, რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, გვიპასუხა რა უკნა, ოჯახი მყავს, შეილმევიღები უნდა გაგზავრო.

ამ მაგალითით ხაზი მინდა გაეუსვა იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში შეიძლება ითქვას, არ არსებობს სასამართლო ხელისუფლება, და დავებამგებთ იმასაც, რომ არც ადვოკატობა თვითმმართველობა არსებობს. აქედან გამომდინარე, თუ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც საარჩევნო კომისიების კომპლექტივაში მონაწილეობას არ მიიღებენ პოლიტიკური პარტიები, ჩემი აზრით, ეს იქნება ბოლო რგოლი, რომელიც შეაფხვს იმ ჯაჭვს, რასაც მომავალი უკანონო არჩევნების დაკანონება ჰქვია.

თემა IV რეკომენდაციები საარჩევნო  
კანონმდებლობაში მიზანშეწონილი ცვლილებების  
შესახებ

პეტანაზ ხმალაძე  
საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგა

როდესაც რეკომენდაციებზე ვიწყებთ ფიქრს, მნიშვნელოვანია რა საკითხს ვუხეობთ. ნებისმიერი კანონპროექტის განხილვისას ყოველთვის შეიძლება გარკვეული რეკომენდაციები გაკეთდეს გამოკიდინარე საგნოდან და გამოშინარე წმინდა ფორმალური ლოგიკიდან. როგორ უნდა ავათ კანონი, რომ მან სასურველი შედეგი მოგვეცეს, ბუნებრივია ეს არის ქვეყნის სამინაო პოლიტიკის განსაზღვრული, მოცემული დარგის, მოცემული სფეროს, მოცემული მიმართულების განვითარების მაჩვენებელი, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური საკითხი. მაგრამ როდესაც საარჩევნო კანონებთან გვაქვს საქმე, სრულიად სხვა ასექტი გამოდის წინა პლანზე. არჩევნები არის ის, რისი მეშვეობითაც იქმნება ქვეყნის ხელისუფლება. ამ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია სამოგალოებრივი შეთანხმების მიღწევა. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონიერად მიღებული კანონი არჩეული ორგანოებისადმი ნდობა არ იქნება ისეთი, როგორც უნდა იყოს. ყოველთვის გაჩნდება რკუევი, რომლებიც იტყვიან, რომ ეს ორგანოები არაოპტიკურად იქნენ არჩეული და არ გამოხატავენ მოსახლეობის უმრავლესობის შეთანხმებას.

რა საკითხებზე უნდა არსებობდეს შეთანხმება? ვის შორის უნდა იყოს ეს შეთანხმება? თვითონ საარჩევნო პროცედურაში რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი? პირველ რიგში საარჩევნო სისტემა, როგორც ასეთი. სხვადასხვაგვარი საარჩევნო სისტემები არსებობს: პროპორციული თუ მაგორიტარული, თავისი უამრავი სახესხვაობებით. სხვადასხვა ვერსია სხვადასხვა შედეგებს იძლევა: შეკეთრად პოლარიზებულს, ნაკლებად პოლარიზებულს, გასაშუალებულს. არის საარჩევნო სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ უწყირესობის ინტერესები იქნეს დაცული. დღეს ხშირად მოისმენთ აზრს, რომ პარლამენტი ამომრჩეველთა ძალიან მცირე ნაწილის, 38% მიერ არის ფორმირებული, ე. ი. გამოხატავს მხოლოდ 38%-ის ინტერესებს. მაგრამ როცა ამდენი საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობა იყო მოსალოდნელი, ამდგავარი შედეგი ხომ თავიდანვე ნათელი იყო.

ასე რომ, იმთავითვე შეთანხმება უნდა არსებობდეს იმაზე, თუ როგორ საარჩევნო სისტემას ავირჩევთ.

შეთანხმება უნდა არსებობდეს აგრეთვე იმის თაობაზე თუ როგორ იქნება არჩევნების ჩამატარებული ორგანოს – საარჩევნო კომისიების სისტემა. ვინაიდან არჩევნების შედეგი უნდა იყოს, როგორც ხელისუფლების ორგანოს ფორმირება, ისე ამ შედეგის მიმართ ნდობა, რაც აუცილებელია, იმავე ხელისუფლების ორგანოს სტაბილურობისათვის, იმისათვის, რომ მას შეეძლოს თქვას, მე გამოვხატავ ხალხის ნებას.

მე მინდა გაგახსენოთ 1990 წელი, როდესაც პირველად იქნა მიღებული მრავალპარტიული არჩევნების კანონი. დამირისპირეულთის ხარისხი იმ დროის ხელისუფლებას და ხელისუფლების მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალიან დიდი იყო, მაგრამ იყო იმის გაგება, რომ აუცილებელია შეთანხმების მიღწევა და თუ არჩევნები შეთანხმების მიუღწევლად ჩატარდა, იმდენად დიდი იქნება არჩეული ორგანოსადმი სამოგალოების უნდობლობა და დამირისპირება, ხელისუფლება ვერ დაასაბუთებს, რომ არჩევნები კარგად ჩატარდა. ორივე მხარისათვის ერთი რამე იყო ნათელი: სათქმელი არ უნდა ჰქონოდა არცერთ მხარეს, რომ რომელიმე ძალისმიერი მეთოდებით, არაკანონიერად იგდო ხელისუფლება ხელში. ამისათვის საკმარისი ზახად ოპოზიციონერების მონაწილეობა საარჩევნო პროცესში, ამ საარჩევნო პროცესის წარმართებას და კონტროლში. ანუ დამირისპირება შენობა - ქუჩა, მთლიანად შენობაში იქნა გადატანა. აი, ეს იყო ის იდეა, რომელიც საფუძვლად დაედო საარჩევნო კომისიების ფორმირებას. სხვათაშორის, 1920 წელს, როდესაც ჩატარდა საქართველოს დამუშენებული კრების არჩევნები, საარჩევნო კომისიები მუსკად ამ პრინციპით იყო შემდგარი. უნდა ვაღიარო, რომ როცა ჩვენ კომისიების ფორმირების მსგავსი წესი შევიმუშავეთ, მაშინ ამ ფაქტს არ ვიყნობდით. მაშინაც ხომ თავიდან იქმნებოდა ყველაფერი, იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები. ყველაზე დიდი გავლენის მქონე სოციალდემოკრატიებს შეეძლოთ ერთპარტიული კომისიების შექმნა, მაგრამ სწორედ იმ მოსაზრების გამო, რომ ნდობის ფაქტორი გამრდილიყო, გააღეს საარჩევნო კომისიები და ყველაზე თანაბრად დანიშნა თავისი წარმომადგენლები. საარჩევნო კანონზე მუშაობისას ჩვენ საკუთარ ისტორიას კარგად არ ვიყნობდით, მაშინ ცენტრალური ვეროპის პოსტსოციალისტური ქვეყნებში საარჩევნო კომისიების ფორმირების წესი ავიღეთ მაგალითად.

კომისიის ფორმირების ის წესი, რომელსაც პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი გვთავაზობს, ძველი დემოკრატიის ქვეყნებში კარგად მოქმედებს. ზოგ ქვეყანაში არჩევნებს შინაგან

საქმეთა სამინისტრო ატარებს, მაგრამ ეს სამინისტრო იქ, ჩვენგან განსხვავებით, პოლიცია კი არ არის, არამედ სამოქალაქო ორგანოა და მასში შეიძენ მუნიციპალიტეტები, სახანძრო, სამოქალაქო თავდაცვა, სასწრაფო დახმარების ორგანიზაცია, პოლიცია და მხოლოდ ერთი შემადგენელი კომპონენტი. ზოგ ქვეყანაში იუსტიციის სამინისტრო ატარებს არჩევნებს, ზოგან კოორდინაციისათვის ცენტრალური საარჩევნო ორგანო იქმნება, მაგრამ არჩევნებს მუნიციპალიტეტები ატარებენ. ჩემის აზრით, საქართველოში ჯერჯერობით ამ მოვლის პირდაპირი გადმოღება არ შეიძლება. განსხვავებით იმ ქვეყნებისგან, სადაც მუნიციპალიტეტები ჭეშმარიტად თვითმმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ, სადაც იუსტიციის თუ შინაგან საქმეთა სამინისტროები ისეა აგებული, რომ არჩევნების შემდეგ იყვლება მათი მხოლოდ პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მაგრამ უცვლელი რჩება მივლი მოხელეთა აპარატი, რომელმაც თუ თავის საქმიანობას პოლიტიკური ელფერი მისცა ბევრ რამეს ღებს სასწრაფო სამუშაო ადგილს, შესიას, აღარაფერი რომ არა ეთქვით მის ცნობიერებაზე, იმაზე რომ უკანონო ქმედება მის მორალურ პრინციპებს ეწინააღმდეგება. ჩვენითან, სამუშაოზე, ასეთი მდგომარეობა არ არის. ჩვენ არა გვაქვს თვითმმართველობა, ერთადერთი არჩეული ორგანოა პარლამენტი. ასეთ შემთხვევაში განა შეიძლება არჩევნების ჩატარება, ვთქვათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დავავალოთ? რასაკვირველია არა! ისინი ობიექტური ვერ იქნებიან, წინა არჩევნებთან უპირაპე მაგალითის მოყვანა შეიძლება.

დავუშვათ ცხე შექმენით იმ პრინციპით, რომელსაც საბოლოო საკითხთა კომიტეტი გეთავაზობს: წევრების ნაწილს პრეზიდენტი დანიშნავს, ნაწილს პარლამენტი, მაგრამ პარლამენტის უმრავლესობა ხომ პრეზიდენტის მომხრეა, გამოვა რომ ყველა წევრს ერთი გუნდი დანიშნავს და კომისიაც მისი უსიყვეო და სრულ მხარდამჭერი იქნება. ამგვარად ფორმირებული კომისიის წევრებზეა იდეალური ადამიანები რომ დანიშნონ, რომლებიც მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოქმედებენ და პოლიტიკური მოსარჩევებით არ ხელმძღვანელებენ, სხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამ კომისიის ნდობა მათს არ ექნება.

მართალია, ის წესი, რომელიც ღებს მოქმედებს, არ არის უნაკლო, მაგრამ მან კარგად იმუშავა 1990 და 1991 წლებში. 1992 და 1995 წლების არჩევნებში ცსკ-ს მხრიდან იმატა არასწორმა გადაწყვეტილებებმა, გამოინახა ცსკ-ში და შესაბამისად საოლქო კომისიებში ერთი კუთვნილი ხმის ნაცვლად მეტი ხმების მოპოვების შექნამგები. მაგრამ კონტრმექანიზმებს შეიძლება კონტრონტრმექანიზმები დავუპირისპიროთ.

ჩემი რეკომენდაციაა - მოიძებნოს შეთანხმება. ამაზე ღვევანღელი ხელისუფლებაც კარგად უნდა დაფიქრდეს. ჩვენ გვინდა, ყველაფერი გადაწყვედეს კანონის შესაბამისად, ოღონდ, შეთანხმების საფუძველზე პოლიტიკური პარტია, რომელიც უარს იტყვის ამ შეთანხმებაში მონაწილეობაზე, ბევრს დაკარგავს.

რაც შეეხება კომისიების ყოველამოსილების საკითხს. სამუშაოროდ კოლეგიალური აზრი ყოველთვის სწორი არ არის. ჩვენ უახლოეს წარსულში იყო არაერთი შემთხვევა, როდესაც კოლეგიალური ორგანოები, პარლამენტი თუ სხვა, იღებდნენ არასწორ, მათ მონონო უკანონო გადაწყვეტილებებსაც. მაგალითად, ცსკ-მ ცნო არჩეული დეპუტატის უფლებამოსილება, მაგრამ პარლამენტმა კენჭისყრით არ დაამტკიცა და არც არავის უთქვამს, რა დარღვევის გამო. ამიგომ პრინციპში, ისეთი საკითხები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არის განსაზღვრული, ის ალბათ ავტოკრული უნდა იქნეს მიღებული და არ უნდა წყვდებოდეს კენჭისყრით.

ამ კუთხით კარგად უნდა გადაისინჯოს საარჩევნო კანონი, ერთი მხრივ, გამოიყოს საკითხები, რომელთა გადაწყვეტისაც სჭირდება კენჭისყრა და მეორეს მხრივ, საკითხები, რომლებიც ავტომატურად გადაწყდება. როგორც კი შეიქმნება ავტომატურად გადასატრულ საკითხთა სფერო, მაშინვე გაჩნდება კონკრეტული შემსრულებელი, ანუ მოხდება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაცია.

საარჩევნო კანონმა უნდა განსაზღვროს ცსკ-ში შემოსული საჩივრების საეაღებულო განხილვის წესი. საჩივარი აუცილებლად უნდა მოწმდებოდეს, ამას კომისიის გადაწყვეტილება არ უნდა სჭირდებოდეს. არჩევნების ღროს ბევრი სხვადასხვა გაიხს საჩივარი გვხვდება და თუ საარჩევნო კომისიამ ყველა მთავანი ერთობლივად განხილა, ელემენტარულად არ მოეწურება. ამიგომ კომისია სწორედ იმას უნდა სწვევდეს, თუ როგორ, რა პროცედურით და ვის მიერ შემოწმდეს კონკრეტული საჩივარი.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხს. არჩევნების ღროს სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიების დაფინანსება ბევრ ქვეყანაში არის მიღებული. პარტია სხვა სახსრებით რომ არ ქმონდეს, ფინანსურმა დახმარებამ მინიმალურ ღონეზე მაიყ უნდა უზრუნველყოს არჩევნებში მონაწილეობა. დაფინანსების საკითხი ჩვენიანაც მოსაგვარებელია. სახელმწიფო პარტიებს ყოველთვის ქონდათ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დაფინანსება. არაპირდაპირი დაფინანსების სახეებია, მაგალითად, სახელმწიფო ტელეფონებისა და მანქანების გამოყენება. ასეთ დარღვევებზე აუცილებლად მოხდება, ამიგომ ამის მოქმენსაციისათვის, პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფა აუცილებელია.

უღებებს განსაზღვრის საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგად უნდა განისაზღვროს საარჩევნო პროცესის ყველა საფეხურის ვადა. ვთქვათ, როგორი უნდა იყოს სასამართლოში საჩივრის განხილვისთვის განსაზღვრული დრო? სანამ დაიწყება ახალი საარჩევნო პროცედურა, მანამ უნდა მოესწროს ყველაფრის გაკეთება, რომ არ აღმოჩნდეს არჩევნების სუბიექტი, ასე ვთქვათ, უფლებამუღაბული. თუ ეს ვადა გავიდა, მოვლენებს უკან ვეღარ დააბრუნებ.

**პაატა გურგენიძე:** რაც შეეხება საკანონმდებლო რეკომენდაციებს, ამ თემაზე საუბარი მინდოდა დამწყვეთ კონსტიტუციური კანონის მიმართ სხვა კანონების სუბორდინაციის პრობლემაზე.

გვაქვს კონსტიტუციური კანონი პარლამენტის არჩევნების შესახებ, რომელშიც მოცემულია (ან უნდა იყოს მოცემული) საყოველთაო საარჩევნო უფლების ძირითადი გარანტიები. ბუნებრივია, რომ ეს იქნება ყველა სხვა საარჩევნო კანონი, ეს იქნება ავტონომიური რესპუბლიკების თუ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, კანონმდებლები ითვალისწინებენ კონსტიტუციური კანონის სულისკვეთებას. მიუხედავად ამისა, გასული საპარლამენტო არჩევნებისას იყო ერთი შემთხვევა, რომელიც ნათელყოფს თუ რა პრობლემაზე ვსაუბრობთ. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ იყვნენ დამკვეთნი „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლები. ამ ხელისშემშლის ახსნა აჭარის კომპეტენტური ორგანოების მხრიდან მდგომარეობდა იმაში, რომ რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობაში არ ფიგურირებდა პუნქტი საერთაშორისო დამკვირვებლების შესახებ. რამდენადაც საერთაშორისო დამკვირვებლების დამეება საარჩევნო უფლების ძირითადი გარანტიაა, უნდა იყოს შექანიში, რომელიც ამ ძირითადი გარანტიების მოხვედრას უზრუნველყოფდა კონსტიტუციური კანონიდან ყველა სხვა კანონში. როგორც ჩანს, ამ ტიპის პრობლემას რუსეთის ფედერაციის კანონმდებლებიც წააწყდნენ, რის შედეგადაც მიღებულ იქნა ცალკე კანონი „საარჩევნო უფლებათა ძირითადი გარანტიების შესახებ“. ჩვენი რეკომენდაცია მდგომარეობს იმაში, რომ იქნებ პარლამენტის არჩევნების შესახებ კონსტიტუციურ კანონში ცალკე თავად გამოიყოს საარჩევნო უფლების ყველა ძირითადი გარანტია და იქვე იქნეს მითითებული ამ თავის საგადაღებლოდ ფიგურირების შესახებ ყველა სხვა კანონში.

ჩვენი შემდგომი საკანონმდებლო რეკომენდაციები ეხება ძირითადად საარჩევნო კომისიების ფორმირების წესს და მათ ფუნქციებს.

ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის წინსვლის პროცესში, საარჩევნო კომისიებმა განიცადონ რეფორმა, რომელიც გადააქცევდა მათ აღმასრულებელი ხელისუფ-

ლების კლასიკურ ორგანოდ. მაგრამა ამ რეფორმირების პროცესში არ უნდა დაიკარგოს ის უპირატესობები, რომლებიც მოაქვს კომისიების ფორმირების დღევანდელ წესს, არჩევნების შედეგების საზარტლიანობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რეფორმის ეტაპობრივი განხორციელება.

მიზანშეწონილი იქნებოდა, პირველ რიგში, საარჩევნო კომისიებისაგან სასამართლო ფუნქციის გამოცალკეება, რომელიც ალბათ უნდა გადაეცეს სასამართლოების სისტემას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე დღევანდელი კომისიების წევრებზე თანამდებობრივი დანიშნულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მთელი მოცულობით განხრეობა.

მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის ამ ეტაპის განხორციელების შემდეგ დაველოდოთ საშოგალოებრივი აზრის შეფასებას იმის შესახებ, გაიზარდა თუ არა საარჩევნო დარღვევების საწინააღმდეგო მექანიზმების (პრევენციული იქნება ეს თუ რესტიტუციული) ეფექტიანობა. მხოლოდ ამ კითხვამე ნაღადაც გამოხატული დადებითი პასუხის შემდეგ იქნებოდა მიზანშეწონილი საარჩევნო კომისიების ფორმირების წესის შეცვლა და მათი გრანსფორმირება აღმასრულებელ ხელისუფლებადა.

**სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, საარჩევნო კანონში მიზანშეწონილი ცვლილებების შესახებ:**

1. უნდა გაიზარდოს არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის გამოყოფილი დრო.
2. არჩევნების დანიშნვის დღიდან, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, აიკრძალოს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა.
3. ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო უბანში გამოიკრას მინიმუმ 30 დღით ადრე.
4. ამომრჩეველთა სიაში დაშვებული უმუსტობის სასამართლოში გასაჩივრება შესაძლებელი უნდა იყოს არჩევნების დღის ჩათვლით.
5. ამომრჩეველთა სიის ერთ ეგზემპლარი უნდა ინახებოდეს ოლქში, ხოლო მეორე ცსკ-ში.
6. უნდა დაისვენოს ამომრჩეველთა სიების შედგენის წესი. ამ მიზნით შესაძლებელია ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის ორგანიზება.
7. არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების და საარჩევნო ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმება მხოლოდ სასამართლოს პრეიოგატივა უნდა იყოს.
8. არ უნდა არსებობდეს პარტიული სიის რაოდენობრივი შეზღუდვა.
9. ხელმოწერების შეგროვება სავალდებულო უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისათვის.
10. ხელმოწერების შეგროვების პარალელურად უნდა არსებობდეს გირაოს ინსტიტუტი. იმ შემთხვევაში, თუ პარტია ან კანდიდატი გადალახავს გარკვეულ ბარიერს, მას ეს თანხა უკან დაუბრუნდება. წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა ბიუჯეტში ჩაირიცხება.
11. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისათვის, ბლოკისათვის, ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატისათვის საარჩევნო კამპანია უნდა დაიწყოს ერთ დღეს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ როდის გაივლის რეგისტრაციას.
12. კანონში შეაიღო უნდა ჩამოყალიბდეს აგიტაციის ფორმები. არჩევნების პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აგიტაციის ერთიანი წესი უნდა მოქმედებდეს.

13. უნდა გაუქმდეს 48 მუხლის 4-ე პუნქტის მოთხოვნა, რომელიც კრძალავს არჩევნებამდე ბოლო თოთხმეტი დღის განმავლობაში სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების გამოქვეყნებას.
14. სახელმწიფოს ოფიციალურ პირებს უნდა ეკრძალებოდეთ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა.
15. კანონმა უნდა დაავალდებულოს სახელმწიფო, რომ მან არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს გამოუყოს თანხა საარჩევნო კამპანიისათვის.
16. კანონში მითითებული უნდა იყოს, რომ დაუშვებელია სახელმწიფო ხარჯზე, გარდა მის მიერ გამოყოფილი თანხისა, საარჩევნო კამპანიის ჩატარება.
17. კანონში შეაიღო უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა იგულისხმება ოფიციალურ ინფორმაციაში.
18. საარჩევნო უბნები და ოლქები უნდა განთავსდეს ისეთ შენობებში, რომლებიც არ არიან პარტიებისა და ბლოკების, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სარგებლობაში.
19. ხმის მიცემის საიდუმლოების უზრუნველსაყოფად უნდა განისაზღვროს სარეგისტრაციო მაგიდებისა და კაბინების რაოდენობა.
20. კენჭისყრის პროცესი ერთიან სივრცეში უნდა წარიმართოს, რათა დამკვირვებლებს საშუალება ჰქონდეთ სრულფასოვნად უმთავრესონ ხმის მიცემის მიმდინარეობას.
21. უნდა განისაზღვროს თუ რა შემთხვევაში შეუძლია თავმჯდომარეს პოლიციელის მოწვევა.
22. პარტიებისა და სამოვალდებრივი ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვის არ უნდა იყოს აუცილებელი საარჩევნო უბნებში წინასწარი რეგისტრაცია.
23. კანონი უნდა ავალებდებოდეს კომისიას შედეგების შეჯამებისთანავე გადასცეს ოქმი დამკვირვებლებს. ხოლო ოქმის ერთი ეგზემპლარი გამოაკრას უბანში.
24. სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესულურ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში აუცილებელია შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რომლებიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ზომას ყოველი კონკრეტული დარღვევისათვის.
25. კანონმა დააწესოს ცსკ-ს მიერ საარჩევნო უბნების შერჩევითი სავალდებულო შემოწმება.
26. არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია განსაზღვრული ვადით უნდა ინახებოდეს ცსკ-სთან არსებულ სპეციალურ არქივში. ამასთან ყველა დაინტერესებულ პირს კანონით გარანტირებული უნდა ჰქონდეს მისი გაცნობის უფლება.

27. უნდა დაიხვეწოს ბიულეტენების აღრიცხვის წესი.
28. ხმის მიცემის დამთავრებისთანავე ამომრჩეველთა სია უნდა დაილუქოს და ცარიელი ადგილები გადაიხაზოს.
29. ამომრჩეველთა სიაში აუცილებელი უნდა იყოს ამომრჩეველთა პირადობის მოწმობების დაფიქსირება.
30. სასურველია ამომრჩევლის ბუქდის შემოღება, რომელსაც ამომრჩეველი დაუსვამს მისთვის სასურველ კანდიდატს.
31. ერთი და იმავე პირის მიერ ორჯერ ხმის მიცემის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია ამომრჩევლის დანიშვნა სპეციალური მელნით.
32. ოქმში აუცილებელი უნდა იყოს ციფრობრივი მონაცემების სიგვეიერი ჩაწერაც, როგორც ფინანსური დოკუმენტების შეესებისას.
33. პუნქტობრივად უნდა განისაზღვროს საარჩევნო უბნებში კენჭისყრის შედეგების გაუქმების პირობები.
34. კანონი უნდა იძლეოდეს საშუალებას, პარტიამ თვითონ განსაზღვროს, სად შეიტანოს საჩივარი, საარჩევნო კომისიაში თუ პირდაპირ სასამართლოში.
35. ხმების დათვლა სასურველია მოხდეს საოლქო კომისიებში.
36. სასურველია არჩევნების ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი კანონის შემუშავება, რომელსაც სხვა ყველა დანარჩენი საარჩევნო კანონი უნდა შესაბამებოდეს.

The conference held on the subject: **Basic Guarantees for Electoral Rights of Citizens**, served the purpose of ensuring the citizens' electoral rights and raising the efficiency of the electoral legislation.

The representatives of the following entities participated in the conference: Central Electoral Commission, Parliament of Georgia, Ministry of Justice, US Lawyers' Association, OSCE mission, UN Human Rights Center, Republican, Socialist, Social-democratic, United Republican and Conservative parties, Citizens' Union of Georgia, Merab Kostava Society, Traditionalists' Union, Konstantine Gamsaburdia Society, various non-governmental organizations and mass media.

The conference was focused on the following main topics:

- legislative mechanisms against infringements during elections;
- foreign experience in maintaining guarantees of suffrage;
- possibilities of collaboration between NGOs, political parties and different branches of state power for better ensuring basic guarantees of suffrage;
- recommendations for desirable changes in the electoral legislation.

**Kote Kandelaky** (ICCC) was the main reporter of the first theme. He discussed some flaws of the electoral legislation on the base of past elections and citing concrete examples. He mentioned, that it is possible to hold free and fair elections even according to the existing law if each side keeps rules of a game. But unfortunately experience shows that now Georgia is not ready for this, that's why it is necessary to introduce to the law such mechanisms by which it will be impossible to falsificate the election process. He gave some recommendations to improve the election system, which are quite important due to coming local elections scheduled for the next spring.

On the opinion of second reporter **George Zesashvili** (vice chairman of Central Election Commission) it is more important to bring fully to action the existing law than to work on perfection of legislation. Reporter underlined weakness of political parties cited that it is possible to use more effectively the existing election law if persons taking part in elections are able to protect their own rights. G. Zesashvili expressed his negative attitude to the fact, that when working on the draft-laws on elections

Ministry of Justice and parliamentary committee for procedural issues refuses to collaborate with CEC and ignores its opinion

**David Archvadze** of Ministry of Justice said the interval between announcing the date of elections by the president and the elections themselves needed increasing. He also proposed to improve legislative guarantees for Central Election Commission's independence.

According to **Mamuka Samakashvili** of the parliamentary committee for procedural issues, adopting the Law on Parliamentary Elections in 1995, the MPs were obviously short of time. Some of its articles, therefore, should be revised. The committee, in his words, is now drafting a bill on amendments to the Law on Parliamentary Elections. He explained some changes proposed in the draft, particularly, new procedures to appoint members of Central Election Commission.

The second topic of the conference - Foreign Experience in Maintaining Guarantees of Electoral Rights - was reported by **Robert La Mont** (American Bar Association). Participants of the conference were especially interested to learn the American practice of applying the Criminal Code in cases of infringements during elections.

**Paata Gurgenidze** of the Caucasian Institute for Peace, Democracy and Development examined the third topic - possibilities of collaboration between NGOs, political parties and different branches of state power for better ensuring basic guarantees of suffrage. His convincing arguments suggested that such a collaboration would benefit every party.

**David Losaberidze** of the research group "Citizens for Efficient Governing" emphasized the need for the society to participate more actively in political processes in the country. The public's current indifference, in his words, is the main concern.

**David Kiplani**, deputy editor-in-chief of the "Akhali Taoba" newspaper, analyzed the mass media coverage of the last elections. He spoke about journalists' rights during elections. Fair elections, in his opinion, largely depend on efficiency of the mass media.

**Vakhtang Khmaladze** (The Georgian Constitutional Protection League) underlined importance of political agreement between various political parties when elaborating the electoral legislation. He cited interesting


examples from the recent history of Georgia. He discussed concrete recommendations about improvement of the work of the Central Election Commission, order of discussing the suit, problem of funding of parties.

#### The following ideas emerge during the discussion:

1. The electoral legislation should be revised so that no infringements can be possible in the future.
2. The bill on amendments to the Law on Parliamentary Elections being drafted by the parliamentary committee for procedural issues attracted much attention. The bill provides for changes in the procedure to appoint members of Central Election Commission. All the participants were unanimous evaluating the present methods of forming election commissions. Given still weak democratic institutions and undeveloped legislation, they said, the current practice allowing political parties to take part in forming election commissions and control their activities must be considered optimum.
3. Most of the participants agreed that our society lacked the rule of law. Therefore, they stressed, just the public's activity was mainly to guarantee universal suffrage.
4. activity of participants of elections, it was argued, and their ability to defend their rights would mainly account for efficiency of the legislation. From this viewpoint, political parties should do their best to learn the electoral legislation, train party monitors and improve awareness of voters.

#### Results of the conference:

- some recommendations on revising the electoral legislation were worked out;
- participants learned foreign experience in maintaining guarantees of Electoral Rights of Citizens;
- political parties expressed their willingness to cooperate with NGOs and back their initiatives on training party monitors.



**Recommendations of ICCC on expedient changes in the electoral legislation:**

1. Time frame allotted for preparing and conducting elections should be longer.
2. Amendments to the electoral legislation, except special cases, should be prohibited to be made after announcing the day of elections.
3. The lists of voters should be put up in electoral precincts for general observation no later than 30 days prior to elections.
4. The appeal against inaccuracies in the list of voters may be taken to the court on the day of the election inclusive.
5. A copy of the list of voters should be kept at the districts, while another copy with the Central Electoral Commission.
6. The rule of compiling lists of voters should be refined. For this purpose, it is possible to organize preliminary registration of votes.
7. The Court only should be entitled to cancel the registration of parties, electoral blocks and nominated candidates in electoral districts participating in the elections.
8. The number of candidates on the party list should not be subject to any limitation.
9. Collection of signatures should be compulsory for every party participating in the elections.
10. Along with the collection of signatures the institution of mortgage should be established. If a candidate or a party overcomes a certain barrier, the money will be returned to him (her). Otherwise, the amount will be transferred to the budget.
11. Electoral campaign should be launched on the same day by every party, bloc or nominated candidate in electoral district participating in the elections irrespective of the time of their registration.
12. Law should define precisely the forms of agitation. A uniform rule for agitation should operate throughout Georgia.
13. The provision of paragraph 4, article 48, prohibiting publication of sociological surveys during 14 days before the elections, should be canceled.
14. State officials should be prohibited to participate in electoral campaign.
15. Law should oblige the state to allocate amount to subjects participating in elections for conducting electoral campaign.
16. Law should prohibit conducting of the electoral campaign on the account of the state, except cases when funds are allocated therefor by the state.
17. Electoral districts and precincts should be set in buildings not being in the use of parties or blocs as well as state and local governing bodies.
18. The number of registration desks and cabins should be defined to ensure secret voting.
19. Voting should be held in the common space to provide the observers with the favorable opportunity for observing the course of voting.
20. The cases, when the chairman is entitled to invite a policeman, should be defined.
21. Preliminary registration should not be compulsory for the observers from parties and social organizations.
22. Law should provide for delivery of protocol to observers by the commission and putting up a copy of it in the precinct immediate after summing up of the results.
23. Corresponding amendments and additions, identifying measure of responsibility for every particular violation, should be made to Criminal, Criminal Action and Tort Codes.
24. Law should provide for optional compulsory inspection of electoral precincts by Central Electoral Commission.
25. All documentation concerning elections should be kept in a special archive, established at Central Electoral Commission for a definite period of time. Any person concerned should have free access to these papers according to the Law.
26. The rule for registration of ballot-papers should be refined.
27. Immediate after voting is finished, the list of voters should be sealed and empty places crossed out.
28. Indication of the voters Identity Cards should be compulsory on the list of voters.
29. It is desired to introduce a voter's seal which will be used to indicate the candidate he (she) votes for.
30. It is desired to mark a voter with special ink in order to avoid voting by one person twice.
31. Digital data should be spelled in the protocol as it is done when filling a financial document.
32. The terms for declaring the results of voting in precincts invalid should be defined paragraph by paragraph.
33. Law should provide party with opportunity to decide whether to take appeal to commission or directly to Court .
34. Counting of votes is desired to be held in district commissions.
35. The Law identifying basic principles of elections is desired to be developed; Other electoral laws should be consistent to it.



International Center for Civic Culture (ICCC) is a non-governmental, non-profit organization established in 1996.

The organization aims to support:

- ⊖ democratic political processes in Georgia
- ⊖ development of a civil society
- ⊖ citizens' active participation in the state life
- ⊖ establishing values of a civil society.

ICCC is working on new project now. The project provides for a program to train observers of political parties to monitor coming municipal elections.

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1996 წელს.

მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების განვითარებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და მოქალაქეთა აქტიურ ჩაბმას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამჟამად ორგანიზაცია იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო დამკვირვებლების მომზადებას. პროექტი დააფინანსა ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველო“.